სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი 21 ნოემბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ფასდება 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნეს არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული [illegible] უნდა გამოგზავნონ. Тифлисъ, [illegible] ящ. 199. Редакція „Эртоба". [illegible] გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ. Головинскій проспектъ № 12). ტელეფონი 16—62.

№ 252 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 252

ერთობის უბნის სახალხო გვარდიის სარაიონო შტაბი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს საუკეთესო ამხანაგის სახალხო გვარდიელის

**ივანე მიხეილის ძის მელაშვილის**

ტრაგიკულათ გარდაცვალებას.

მიცვალებულის გამოსვენება მოხდება 21 ნოემბერს, დილის 10 საათზე, საკუთარ ბინიდან (სამოვოლნი ქ.) წმ. ნინოს ეკლესიაზე, დაკრძალვა იქვე.

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები მიხეილ ქიტესის ძე და ეფემია დავითის ასული მელაშვილი, დები: ქეთო და ვარო, ძმა გიორგი, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ტრაგიკულათ გარდაცვალებას ძვირფასი

**ივანე მიხეილის ძე მელაშვილისას**

დასაფლავება დღეს, 21 ნოემბერს, წმინდა ნინოს სასაფლაოზე. გამოასვენებენ საკუთარ სახლიდან, ჩერეპიჩნი ქ. № 9 დილის 10 საათზე.

გურიანთის სოც. დემოკ. პარტიის რაიონის პრეზიდიუმი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და მეგობრებს, კოლექტივის წევრის

**გრიგოლ გიგოს ძე ნაკაშიძის**

უდროოდ გარდაცვალებას, რომლის დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს, 21 ნოემბერს ს. პატარა ბაილეთში.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე აშიკო ნაკაშიძისა, ძმა ანტონ ნაკაშიძე, დედამთილი მინა, ცოლის ძმები: პორფილე და ვარლამ, რძლები მინადორა და ანუშკა ცერცვაძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი

**გრიგოლ გიგოს ძე ნაკაშიძის**

უდროოდ გარდაცვალებას. სულის ახსნა და დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს, 21 ნოემბერს.

ღრმად დამწუხრებულნი სახალხო გვარდიის არტილერისტები აუწყებენ ამხანაგ-ნაცნობებს, რომ 20 ნოემბერს უეცრად გარდაიცვალა ამხანაგი

**ვალოდია არსენის ძე მჟავანაძე.**

გამოსვენება მოხდება 21 ნოემბერს, 41 ლაზარეთიდან, პეტრე დიდის ქუჩა, დასაფლავება სოფ. ბასილეთში (გურია). (4—1)

გულ-დათუთქულნი დედ-მამა ქრისტინე და არსენ, შვილებითურთ, ბებია ფედოსი, ბიძები: რაჟდენ, სერგო და ტროფიმე, ბიცოლა მარო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 20 ნოემბერს უეცრად გარდაიცვალა მათთვის საყვარელი სახალხო გვარდიის არტილერისტი

**ვალოდია არსენის ძე მჟავანაძე.**

გამოსვენება მოხდება 21 ნოემბერს, 41 ლაზარეთიდან, პეტრე დიდის ქუჩა, დასაფლავება სოფ. ბასილეთში (გურია). (4—1)

თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობა ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ სოფ. ნატახტართან ვერაგულად მოჰკლეს უმაღლეს ადამიანურ და მოქალაქეობრივ მოვალეობათა ასრულების დროს ამავე უნივერსიტეტის სტუდენტი

**გრიგოლ (ჭიჭიკო) ჭუმბურიძე.**

ქმრები: სოფრომ და სიმონ გამყრელიძენი უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფას ცოლთა

**მინადორა და ლიზა გამყრელიძეების**

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება ხუთშაბათს, 21 ნოემბერს, დილის 12 საათზე, საკუთარ სახლიდან („როზოვი პლოშჩადი"—№ 5) დაკრძალვა მოხდება პეტრე პავლეს ეკლესიის გალავანში. 2—1

„ხალხის დანაზოგი ხალხში უნდა დაბრუნდეს"

**მოსკოვის სახალხო ბანკი.**

(სრულიად რუსეთის ცენტრალური კოოპერატიული ბანკი)

ბანკის ძირითადი თანხა—35 მილიონი მან.

გამგეობა იმყოფება მოსკოვში, დ. დიმიტროვკა, № 4. განყოფილებები და საკომისიონერო კანტორები: ასტრახანში, არხანგელსკში, ვლადივოსტოკში, ვოლოგდაში, ეკატერინოსლავში, ირკუტსკში, ნიჟნი-ნოვგოროდში, ნოვგოროდის იარმუკაში, ნოვო ნიკოლაევსკში, ომსკში, პეტროგრადში, პერმში, დონის როსტოვში, რიბინსკში, სარატოვში, თფილისში, ხარკოვში, ცარიცინში, ჩიტაში, ლონდონში და ნიუ იორკში.

ბანკის თფილისის განყოფილება (ლორის-მელიქოვის ქ. № 9) აწარმოებს ბანკის წესდებით ნებადართულ ოპერაციებს. ღებულობს შესანახად და უხსნის მიმდინარე ხარჯებზე ანგარიშებს, როგორც კოოპერატივებს ისე კერძო პირებს და დაწესებულებებს.

ბ ა ნ კ ი   ი ხ დ ი ს:

მცირე შესანახ თანხებზე (1 მანეთიდან დაწყებული) და მიმდინარე უბრალო ანგარიშებზე . . . . . $2^1/_2$ %—$3^1/_2$ % დე

მიმდინარე პირობითი ანგარიშებზე . . $3^1/_2$ % -ტი

ვადიან თანხებზე . . . . . $3^1/_2$ %—$5^1/_2$ % დე

კოოპერატიულ დაწესებულებებს მიეცემათ . $^1/_2$ % მეტი.

ბანკი უშვებს ახალ (VI გამოც.) აქციებს (260000 ცალ') 65,000,000 მანეთისა.

ამ გამოცემის რეალიზაციის შემდეგ ბანკის მთელი კაპიტალი (складочный капиталъ) 100,000,000 მანეთამდე ავა.

ახალ გამოცემული თვითეული აქცია ეღირება 260 მ ნ.

მე VI გამოცემის აქციები განაწილდება მხოლოდ კოოპერატივთა შორის.

ახალ აქციებზე ხელის მოსაწერი ფასის შემოტანის უკანასკნელი ვადა არის 1919 წლ. 31 აგვისტო.

ხელის მოწერა მიიღება: მოსკოვის სახალხო ბანკის ტფილისის განყოფილებაში (ლორის-მელიქოვის ქ. № 9).

## რევოლიუცია და „გამარჯვებულნი"

ევროპაში გაჩაღებული ცეცხლი არ ჩამქრალა და დიდი ხნის განმავლობაში არც ჩაქრება.

მეხუთე წელიწადია ბალკანეთის ნაპერწკალმა იგი ომის ალში გახვია, დღეს რევოლიუციის ქარიშხალი ამ ალს კიდევ უფრო აძლიერებს. მაგრამ ახლა იგი სწარმოებს არა სახელმწიფოთა შორის, არამედ კლასთა შორის.

ბურჟუაზიამ დაასრულა თვისი თავაშვებული ვაკხანალია იმით, რომ თავის მესაფლავე პროლეტარიატი, თავის წინაამდეგ იარაღით გამოიყვანა.

რევოლიუცია გერმანიაში წინამორბედი და მომასწავებელია ევროპის რევოლიუციის... მართალია, ევროპის დანარჩენ ქვეყნებში არ ჰქონია ადგილი ისეთ ნახევარ აბსოლიუტიზმს, როგორიც ვილჰელმის იმპერიაში იყო, მაგრამ მასსის და უმთავრესად პროლეტარიატის შევიწროვებამ ყველგან უკიდურეს წერტილამდე მიაღწია და რევოლიუციის სული ყველგან უკვე ტრიალებს. ზღვა და ხმელეთ ვერ შეაჩერებს მის ძლევამოსილ მსვლელობას. ვერც „გამარჯვებით" დაბრმავებული საზოგადოება იხსნის თავს მუშათა კლასის ძლიერი იერიშისაგან. ხალხი დიდათ გალატაკდა ამ ომში, ბევრი სისხლი დაღვარა, ნაცვლად კი რა მიიღო? განა ნაპერი მიწის შემოერთება, ან მეზობელ მუშათა კლასის დათრგუნვა მას სარგებლობას მოუტანს? დიდმა ომმა, რომელიც იმპერიალისტებმა გააჩაღეს, ყველა დააზარალა, ყველა დაღუპა, ყველა დააობლა, დაჩაგრა, თავის ერიც და სხვისაც, გამარჯვებულიც და დამარცხებულიც. და მსჯავრი ხალხის რისხვის წინაშე ყველამ უნდა აგოს.

დიახ, დიდ ომს დიდი რევოლიუციური მოძრაობა მოსდევს. ასეთია შედეგი მოტყუებულ ხალხის გამოსვლისა თავბრუ დამხვევი ომის ბურანიდან.

მართალია დღეს საფრანგეთის ქუჩები გამარჯვებას დღესასწაულობენ, მაგრამ ეს მხოლოდ უკანასკნელი ცდაა თვალთ მაქცი ბურჟუაზიის და მისი ყურმოჭრილი მსახურის ბურჟუაზიულ მთავრობების, ხალხის მოსატყუებლად და მისი აზრის და გონების სხვა მხრით მისამართავათ. გარეშე შენაძენით უნდათ დაფარონ სიღუხჭირე შინაგან ცხოვრების, გარეშე ტერიტორიის შემოერთებით უნდათ ანაზღაურონ აურაცხელი მსხვერპლი ადამიანის სიცოცხლის, სისხლის, ჯანმრთელობის, დანგრეულ ოჯახების, დაობლებულ ბავშვების, გულმოკლული დედების.

და ამ მაცდურობამ შეიძლება ნაწილობრივ, დროებით კიდევ გასჭრას. შეიძლება ასე სწრაფად ვერ მოასწროს. გამოფხიზლება თვალებისა „გამარჯვებულმა" სალდათმა, რომელიც ახლა მთელ ხალხს წარმოადგენს. მაგრამ პირველი დაბრუნება შინ, პირველი ხილვა თავის აწიოკებულ ოჯახის, დაობლებაც მეზობლების, განადგურებულ მეურნეობის, პირველი შეჯახება მკაცრ სინამდვილესთან, სადაც მელოდებს მთელის უმუშევრობის სიმწვავე, კრიზისის საშინელებანი და სხვა ბურჟუაზიულ საზოგადოების ბოროტებათა კლანჭების სიმწარის გამოცდა თავის სხეულზე, ყველა ეს, სწრაფათ გამოაფხიზლებს დღეს იარაღში ჩამჯდარ „გამარჯვებულ" ჯარს. იგი დაინახავს, რომ ის კი არაა გამარჯვებული, არამედ მ ხვერპლია სხვისი გამარჯვებისა. ის კი არაა მოგებული, არამედ მსხვერპლია სხვისი საზეიმო ნადიმის, სხვისი მხიარულების. დაინახავს და ბოლოს მის გულით მსწრაფლ გადმოინთხევა იმათ თავზე, ვინც მოლოდს შესწირა ხალხის ბედნიერება.

საშინელი გამანადგურებელი ომის დასასრული იქნება საშინელი, ბურჟუაზიის თავზარდამცემი რევოლიუციონური ქარიშხალი. კლემანსო და ლოიდ ჯორჯი ვერ შესცვლის ისტორიის ჩარხის ბრუნვას. და გაბატონებულნი, გამარჯვებულნი გაიზიარებენ დამარცხებულთა ბედს.

დღეს დამარცხებულია საფრანგეთ ინგლისის მუშათა კლასი და არა გერმანის. ამ უკანასკნელმა გადაიძრო თავიდან ულელი თავის გამყვლეფელი კლასის, თვით აიღო ხელში ბედი ქვეყნის და ამ რიგათ ბურჟუაზიულ იუნკრული გერმანიის დამარცხებაზე აატრიალა თავის გამარჯვების ალამი.

ახლა რიგი საფრანგეთ-ინგლისის მუშათა კლასზეა. მონობა—თუ თავისუფლება—ეს პრობლემა ახლა მათ წინაშე დგას.

მაგრამ ეს პრობლემა ეხება არა მარტო მათ, არამედ მთელ კაცობრიობას. ეს საკითხი სამკვდრო-სასიცოცხლოა არა მარტო მათთვის, არამედ მსოფლიო მუშათა კლასისათვის.

ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმი დღეს ზეიმს იხდის გერმანიის იმპერიალიზმის ნანგრევებზე, მაგრამ იგი სულთამხუთავ ვათ ევლინება გერმანიის მუშათა დიად, უმაღლესო განმათავისუფლებელ ბრძოლასაც. სოციალისტურ რესპუბლიკას, რომელიც გამოაცხადა გერმანიის მუშათა კლასმა, ყველაზე მოსისხლე მტერი ჰყავს, არა გერმანელ რეაქციონერთა და ბურჟუაზიის სახით, არამედ ინგლის-საფრანგეთის თავიდან ფეხამდე შეიარაღებულ იმპერიალიზმის სახით.

ინგლის-საფრანგეთის მუშათა კლასს აწევს დღეს უდიდესი მოვალეობა ევროპისა და რევოლიუციის წინაშე. მათზეა დამოკიდებული, ვინ იქნება გადამჭრელი ევროპის ბედის, მათზეა დამოკიდებული—იმპერიალისტები შექმნიან ახალ ევროპის ქარტას თავის ბატონობის დასამკვიდრებლათ მთელ მსოფლიოში, თუ მუშათა დემოკრატია შექმნის ერთა კავშირს და ძმურ სოლიდარობის პრინციპებს განახორციელებს კაცობრიობის საკეთილდღეოთ. ამ ისტორიულ გადამჭრელ მომენტში ჩვენ იმედით შევყურებთ „გამარჯვებულ" ქვეყნების მუშათა კლასს და გვწამს, რომ მათი რევოლიუციური სული და საღი კლასობრივი ინსტიქტი უკარნახებს მათ თავის წმინდა მოვალეობის პირნათლად შესრულებას. ჩვენ ველით, მოუთმენლათ ველით საფრანგეთის და ინგლისის მუშათა გამოძახილს მსოფლიო რევოლიუციის დასაწყისზე.

## საქართველოს ს.-დ. პარტიის დაარსების გამო

ამიერ-კავკასიის სოც.-დემოკრატ. ულ ორგანიზაციების მერვე ყრილობამ განიხილა დღიურ წეს-რიგში დასმული საკითხები და დაიშალა. სამწუხაროთ, ეს ყრილობა უკანასკნელი ყრილობა იყო: მან საბოლოვოთ სცნო ფაქტი ამიერ-კავკასიის დანაწილებისა და პარტიულ ორგანიზაციის შენებაც ამ გარემოებას შეუფარდა.

ამ რიგათ, მერვე ყრილობამ დაადასტურა ამიერ-კავკასიის სამს რესპუბლიკაში სამი პარტიის დაარსების საჭიროება და მისი დადგენილების თანახმათ, 19 ნოემბერს, უკვე შესდგა საქართველოს რესპუბლიკის სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციების დამფუძნებელი კრება. ამ უკანასკნელმა კი საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი აირჩია და დამოუკიდებლათ მუშაობას შეუდგა.

ეს გარემოება დიდს მითქმა-მოთქმას იწვევს ზოგიერთ წრეებში: აშკარათ ამბობენ ქართველი სოციალდემოკრატები ნაციონალიზმისკენ იხრებიანო.

რაში ხედავენ ეს პირები ჩვენი ორგანიზაციების განაციონალისტებას? მოვისმინოთ მათი საბუთები.

უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი მოსაზრება, რომელიც მათ მოჰყავთ ის არის, რომ ერთი სოციალდემოკრატიული პარტია ამიერ-კავკასიის საზღვრებში ძლიერი ძალა იქნებოდა ერთა სოლიდარობის განმტკიცების საქმეში და ცალკე პარტიების დაარსება ამ ძალას დაამცირებს და ნაციონალისტებს გააძლიერებსო.

ეს მოსაზრება დღევანდელ კონკრეტიულ პირობებში ჩვენ უსაფუძვლოთ მიგვაჩნია.

ჩვენ მუდამ მომხრე ვიყავით იმისა, რომ რუსეთში ყოფილიყო ერთი სოციალდემოკრატიული პარტია, ხოლო, როცა რუსეთი დაიშალა და ამიერ კავკასია ცალკე მოეწყო—ჩვენ ერთს მთლიან ამიერ კავკასიის ორგანიზაციას ვიცავდით.

მაგრამ ეს იყო მაშინ. დღეს კი პირობები შეიცვალა. და ამ ჟამათ ჩვენ საქმე გვაქვს არა მთლიან ამიერ-კავკასიასთან, არამედ სამს დამოუკიდებელ რესპუბლიკასთან. როგორიც არ უნდა იყოს ზოგიერთი ჩვენი ამხანაგების დამოკიდებულება ამ ცალკე რესპუბლიკების არსებობის საკითხთან, ისინი ვერ იტყვიან, რომ მარქსიზმის და სოციალიზმის თვალსაზრისით დასაშვებია ბრძოლა ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. და რაკი ამ საკითხს ასე გადავსჭრით, რაკი ვაღიარებთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლათ არსებობა უკვე მომხდარი ფაქტია, ჩვენ გვერდს ვერ ავუხვევთ ცალკე პარტიის დაარსებას. რაც შეეხება ერთა სოლიდარობის საქმეს, ჩვენ უნდა გითხრათ, რომ სამ რესპუბლიკაში სამი პარტიის არსებობა ოდნავადაც ვერ შეუშლის ხელს ამ საქმეს; პირიქით, თუ თითეულ რესპუბლიკის საზღვრებში ჩვენი ამხანაგები შესძლებენ ცალკე პარტიის დაარსებას და მშრომელი მასსის შეკავშირებას, ეს საუკეთესო ნიადაგი იქნება ამიერ-კავკასიის ერთა შორის ძმურ დამოკიდებულების განმტკიცებისათვის. მართლაც, თუ დღეს საფრთხეშია მშვიდობიანობის და ეროვნებათა კავშირის საქმე ამიერ კავკასიაში, იმის მიზეზია ის, რომ სომხეთში და აზერბეიჯანში სუსტია სოციალ-დემოკრატია და ხალხი დაშნაკელების და მუსავატის გავლენის ქვეშ იმყოფება. ამ მხრით საქმეს სრულებით ვერ უშველის ერთი სოციალდემოკრატიული პარტია. პირიქით, ის ხელის შემშლელიც იქნება სამივე რესპუბლიკის დემოკრატიის შეკავშირების საქმეში, რადგან ვერ წარმოგვიდგენია, როგორ უნდა განახორციელოს პრაქტიკულათ თავისი მოღვაწეობა სოციალდემოკრატიამ სამს რესპუბლიკაში, როცა თითეულ ამათგანში სხვადასხვა-გვარი წყობილებაა.

ეს კონკრეტიული კითხვა არ არის იმდენათ ადვილი გადასაწყვეტი, რომ საჭირო არ იყოს მასზე პასუხის გაცემა. და სანამ ნაციონალისტობაში დაგვდებდნენ ბრალს ჩვენი პროტესტანტი—ამხანაგები, უმჯობესი იქნებოდა ეთქვათ მათ: თუ როგორ შეიძლება ერთმა სოციალდემოკრატიამ აწარმოვოს მუშაობა სამს სხვადასხვა პოლიტიკურ წყობილების სახელმწიფოში?

ხოლო თუ მათი წინადადება, რომ ამიერ-კავკასიაში ერთი სოციალდემოკრატიული პარტია დარჩეს—უბრალო დეკლარაციაა, მათ ესეც უნდა გვითხრან და მაშინ გვეცოდინება, რომ აღნიშნული ამხანაგები დეკლარაციებს გვაჩვენებენ იქ, სადაც საჭიროა ცოცხალი საქმე.

## მერვე ყრილობა

ს.-დ. მ. პარტიის წარმომადგენელთა.

14 ნოემბრის საღამოს სხდომა.

თავმჯდომარეობს ა. ლომთათიძე.

მუშათა საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს გ. ერაძე. მუშათა საკითხი, ამხანაგებო, ქვაკუთხედია ჩვენი პარტიის მოღვაწეობისა. მართალია, ბურჟუაზიული პარტიებიც აყენებენ მუშათა საკითხს, მაგრამ ისინი ამას სწყვეტენ ბურჟუაზიული საზომით. ჩვენი მიზანია მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობა ბურჟუაზიის შევიწროვებით, ბურჟუაზიის მიზანია მუშის შევიწროება და დათმობის გზით სიარული. ჩვენ, სოციალდემოკრატები ყოველგვარ პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხს მუშათა საკითხს ვუკავშირებთ, ვინაიდან პოლიტიკურ, ეკონომიური საქმენი იმდენათ არიან საჭირონი, რამდენათ ხელს უწყობენ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას და საბოლოვო მიზნის—სოციალიზმის მოახლოვებას. დღეს მუშათა საკითხს უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა, რადგანაც ისეთი პოლიტიკური და ეკონომიური ატმოსფერა შეიქმნა, რომ მუშათა საკითხის ავად გადაწყვეტა სახიფათო მდგომარეობაში ჩააყენებს მუშათა კლასს. წინეთ ჩვენი ამ მიმართულებით მუშაობა განისაზღვრებოდა პროპაგანდა-აგიტაციით. დღეს კი დადგა დრო, როცა რეალიზაცია უნდა ვუყოთ და ის გეგმა, რომელიც დასახული გვქონდა უნდა განვახორციელოთ. ჩვენს პროგრამას ამ მხრით რევიზია და გადასინჯვა არ უნდა. ახლა საჭიროა გავიხსენოთ ის ძირითადი დებულებანი, რომელზედაც ავაშენეთ ჩვენი პროგრამა. ეს იყო—მინიმუმი და მაქსიმუმი. ეს გამოწვეული იყო ისტორიული აუცილებლობის გათვალისწინებით. ჩვენი პრინციპი იყო კერძო საკუთრების მოსპობა და საზოგადოებრივი წარმოების ფორმისაკენ ლტოლვა—მასთან ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ისე მოწყობა მუშათა მდგომარეობისა, რომ მან რაც შეიძლება უკეთესად და უმტკივნეულოდ შეინარჩუნოს თავისი ფიზიკური არსებობა და მომზადდეს სოციალიზმის ხანაში გადასასვლელად. ძველი რეჟიმის დროს ჩვენ ვიბრძოდით ჩვენი პროგრამის მიხედვით მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ ბევრი არაფერი მიგვიღია. რევოლიუციამ კი დიდი რამ მოგვცა. პროგრამა მინიმუმი თითქმის განვახორციელეთ, მაგრამ ომის მიერ გამოწვეულმა პირობებმა ისე გაართულეს მდგომარეობა, რომ უნდა ვსთქვათ სიმართლე, მუშათა მდგომარეობა დღეს უარესია, ვინემ ეს რეფორმამდე იყო. დღეს აურაცხელი კონფლიქტები არის სამუშაო ქირის გარშემო. ეს იმის ბრალია, რომ წარმოება, შრომის ნაყოფიერება დაეცა. აქ მომხსენებელი მაგალითებით ამტკიცებს, რომ წარმოება მართლაც დაეცა და ხელფასის მომატება საკითხს ვერ სჭრის და საჭიროა უფრო რადიკალური ზომების მიღება. დღეს ჩვენში ასე ხდება. 8 საათის სამუშაო დღე ცხოვრებაში გატარებულია, 8 საათის ნამუშევარი მუშას არ ყოფნის პურის ფასად და ის იძულებული ხდება სხვაგან ეძიოს სამუშაო. ეს რასაკვირველია, არის არანორმალური და მასთან არა სასურველი მოვლენა. როგორ გამოვიდეთ ამ მდგომარეობიდან? აუცილებლად საჭიროა შრომის ნაყოფიერების, ინტენსივობის აწევა. თუ ეს არ მოხდა, შეუძლებელია ეკონომიური მდგომარეობაზე პასუხის გაცემა. ამიტომ საჭიროა დღიური მუშაობიდან გადავიდეთ ნარდათ მუშაობაზე—ეს გაანაყოფიერებს შრომას. შემდეგ მომხსენებელი შეეხო გაფიცვებით მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხს და აღნიშნა, რომ სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეებმა არავითარ გზით არ უნდა დაუშვან გაფიცვა, არამედ ყოველგვარი სადავო საკითხი გადასწყვიტონ სამედიატორო სასამართლოს საშუალებით. ჩვენი უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს შრომის განაყოფიერებას და წარმოების აღდგენას, სთქვა მომხსენებელმა დასასრულ.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. ორმა მიმდინარეობამ იჩინა თავი. ერთნი მოითხოვდნენ ნარდათ მუშაობის პროექტის უარყოფას. მეორენი მომხსენებელს ეთანხმებოდნენ. პირველთა უმთავრეს დებულებათ შემდეგი მოსაზრებანი მოჰყავდათ: ნარდათ მუშაობის შემოღება—ეს 8 საათის სამუშაო დღის მოსპობაა, მაშინ მუშა იძულებული იქნება 10 ს. და მეტ საათსაც იმუშაოს. ეს შრომის ნაყოფიერებას სრულიად ვერ აწევს, მასთან ნაჭრობით მუშაობა საკითხს ვერ სწყვეტს, უმუშევრობას ვერ სპობს, ერთნი იმოვიან სამუშაოს, მაგრამ სამაგიეროთ მეორე ნაწილი მუშებისა უადგილოთ დარჩებიან და წარმოება მაინც არ აღსდგება. ნარდათ მუშაობა მუშათა შორის შურს და სიძულვილს დასთესავს და იმის მიღება შეუძლებელია. ამბობდნენ აგრეთვე, რომ მუშათა საკითხი, ეს ბურჟუაზიული საკითხია, რადგანაც მუშათა საკითხის წარმოდგენა შეიძლება მხოლოდ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში. სოციალისტურ წყობილების დროს შეუძლებელია მუშათა საკითხი არსებობდეს. თვით რევოლიუცია რომელიც მოხდა, იყო არა ბურჟუაზიული და არც სოციალისტური. ამის მიხედვით უნდა გადიჭრას მუშათა საკითხიც. მთელი რიგი ორატორებისა მოითხოვდნენ მეტი ყურადღება მიექცეს პროფესიონალურ კავშირებს. ის უნდა იყოს მუშათა კლასის მთავარი ხელმძღვანელი, წარმოება უნდა ჩადგეს ნორმალურ კალაპოტში, უნდა მიღებულ იქნას უფრო ფართე ზომები, შემოღებულ იქნას სახელმწიფო კონტროლი, რომ მოისპოს მუშათა მოვალეობის აუსრულებლობა და სხვა. მეორე რიგი ორატორებისა ამბობდა: აქ ამბობენ მივცეთ მუშებს ეს, ეს და ეს. კარგი და პატიოსანი, მივცეთ, მაგრამ საიდან, როცა არაფერი მოგვეპოვება? ჩვენც წინააღმდეგი ვიყავით ნარდათ მუშაობისა, გათვალისწინებული გვქონდა მისი უარყოფითი მხარეებიც, თვით შრომის სამინისტროც წინააღმდეგი იყო პრინციპიალურად, მაგრამ ჩვენ თითქმის ყველა ზომები ამოვსწურეთ, პროგრამა მინიმუმი განვახორციელეთ, მაგრამ მიზანს ვერ მივაღ-

წიეთ. როგორც შრომის მინისტრი ამბობდა, მუშათა მდგომარეობა თანდათან უარესდება, აგრეთვე მუშებში ერთგვარ მაქსიმალისტურმა ჯგუფმა იჩინა თავი, უნდა მივიღოთ ეს ზომაც, ნარდათ მუშაობა შრომას გაანაყოფიერებს და ინტენსივობას მოუმატებს, შეიქმნება ნაციონალური სიმდიდრე და ფულის ფასი ცოტათი აიწევს.

მომხსენებელი ამბობს, რომ, როცა ნარდათ მუშაობაზე ვამბობდი, მე მხედველობაში მქონდა ნარდათ მუშაობა 8 საათის სამუშაო დღის ფარგლებში. ამ მხრით გაუგებრობაზეა აშენებული ის საყვედურები და საბუთები, თითქოს ნარდათ მუშაობა ეს 8 საათის სამუშაო დღის დარღვევა იყოს. ეს ასე არ არის. მე ჩემს მოხსენებაში განზრახ არაფერი ვსთქვი იმაზე, თუ რა გავაკეთეთ. მომხსენებელი ჩამოსთვლის ყველა იმ ზომებს და კანონებს, რომელნიც გამოცემულ იქნა. ჩვენ პროგრამა მინიმუმი თითქმის განვახორციელეთ, მაგრამ ამან დღევანდელ პირობებში საქმეს ვერ უშველა და მუშათა მდგომარეობა ვერ გააუმჯობესა. ყველგან უმთავრესად უთანხმოება არის ხელფასის მომატების ნიადაგზე, ეს იმიტომ, რომ სოფელი თითქმის თავისით იკმაყოფილებს თავს და ქალაქსა და სოფელს შორის ისეთი კავშირი აღარ არის, როგორიც იყო წინეთ. ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა ძლიერ წააგავს ძველათ, ასი წლის წინეთ რომ მდგომარეობა იყო. წარმოებამ ძველი ხასიათი მიიღო, სახელმწიფო სიმდიდრე არ არის, ამიტომ ჩვენ ვადგებით ნარდათ მუშაობის ნიადაგს. ნარდი მუშაობა წარმოებას აწევს, შრომას გაანაყოფიერებს. რეზოლუცია ყრილობას არ გამოუტანია, რადგანაც დადგენილ იყო პირველ სხდომაზე, რომ რეზოლუციების გამოტანა მოხდება საერთოდ ბოლოს. ა. ს.

## საქართველოს პარლამენტი

**19 ნოემბრის სხდომა.**

თავმჯდომარეობს ნ. ჩხეიძე.

მდივანი კითხულობს დღის წესრიგს, რომელიც უცვლელად მიიღეს. პარლამენტში შემოვიდა დამოუკიდებელ ნაციონალ დემოკრატების შეკითხვა მთავრობისადმი ფერის და მუხრანის ხიდების აფეთქების განზრახვის შესახებ.

მიიღეს და დაამტკიცეს თანახმად შ. ამირაჯიბის მოხსენებისა, საბოლოო ტექსტები შემდეგი კანონებისა: 1) საბოლოო ტექსტი სხვადასხვა უწყების სკოლათა განათლების სამინისტროს უწყებაში გადასვლის კანონისა; 2) საბოლოო ტექსტი სახაზინო პალატათა გაუქმებისა და გადასახადთა და "ხაზინის საქართველოს დაარსებისა, 3) საბოლოო ტექსტი ორასი მილიონი მანეთის ბონების გამოცემის კანონისა. 4) პირველ დაწყებითი სკოლების გახსნის კანონისა, 5) გურიის უმაღლეს-დაწყებითი სკოლებისათვის ერთდროულ დახმარებისა 6) საექიმო უწყების ორგანიზაციისა.

**კანონ პროექტი სახჩერეში ცეცხლით დაზარალებულთა დახმარების შესახებ.**

მომხსენებელი კაკაბაძე. ბალშევიკების გამოსვლის დროს საუკეთესო ნაწილი სახჩერეს—ბაზარი, ცეცხლმა შთანთქა. აღიძრა შუამდგომლობა, რათა დახმარება გაეწიოს ცეცხლისგან დაზარალებულთათვის, რომელიც გამოსარკვევათაც პარლამენტის კომისიის დავალებით გავემგზავრე ადგილობრივათ. დაზარალებულია 57 ოჯახი, გავეცანით რა მდგომარეობას, კომისია იმ აზრის დადგა, რომ საჭიროა დახმარება 45 ათასი მან. ამ დადგენილებასვე იზიარებს ადგილობრივი თვითმართველობა. ეს ფული უნდა გადაეცეს შორაპნის ერობას. კითხულობს პროექტს, რომელიც ერთი მუხლისაგან შესდგება. „გადაეცეს სახელმწიფო ხაზინიდან შორაპნის სამაზრო საერობო გამგეობას 45 ათასი მანეთი სახჩერეში ცეცხლით დაზარალებულ მცხოვრებთა და დაწესებულებათა დასახმარებლად.

გ. ვეშაპელი. ემხრობა, რა კანონ პროექტს, აღნიშნავს ადგილობრივ ადმინისტრაციის მოქმედებას, რომელთაც არ გამოარკვიეს დაუყონებლივ ხალხის ზარალი. კანონი მიიღეს.

**კანონ-პროექტი სამთო სამმართველოს დაარსების შესახებ.**

იას. ლორთქიფანიძე მოხსენებს პარლამენტს, რომ ამ კანონ პროექტის თანახმად უნდა გაუქმებული იქნეს კავკასიის სამთო სამმართველო საქართველოს ტერიტორიაზე და მის მაგიერათ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან არსდება სამთო სამმართველო, რომლის შტატები და ხარჯი აღრიცხვა 64,777 მან. შეადგენს. კანონ-პროექტი უკამათოდ მიიღეს.

**კანონ-პროექტი სამღვთოსჯულის სწავლების გაუქმებისა ყველა ტიპის და საფეხურის სახელმწიფო და კერძო სკოლებში.**

მომხსენებელი ლ. ნათაძე. შეიძლება ადამიანი სხვადასხვა აზრისა იყოს სარწმუნოებაზე, ერთნი იტყვიან სარწმუნოება აფაქიზებს ადამიანის ზნეობასო და ამისთვის უნდა გავაძლიეროთ იგიო. მეორენი სულ სხვას ამბობენ—როგორც მაგალითად, მარქსი ამბობდა—სარწმუნოება ის ოპიუმია, რომლითაც გაბატონებული კლასები აბნელებენ ხალხის გონებას და ამისთვის საჭიროა ხალხს წაართვათ სარწმუნოება, რათა მან თავი ანებოს იმ ქვეყნიური ცხოვრებისკენ ცქერას და ამ ქვეყნიურზე იზრუნოსო. საჭიროა პარლამენტმა ამ საკითხს ორ გვარად შეხედოს, როგორც პოლიტიკურ და მეცნიერულს. ძნელად მოიპოვება ისეთი პარტია, რომელსაც არ ჰქონდეს პროგრამაში შეტანილი სინდისის თავისუფლება. თუ პროგრამა იწერება იმიტომ, რომ არ იქნეს შესრულებული, ეს სხვა კითხვა არის, თუ ჩვენ მივიღებთ სინიდისის თავისუფლებას, მაშინ უნდა ისიც მივიღოთ, რომ ეკლესია განკერძოებული იყოს სახელმწიფოდან და მგონია, რომ არც ერთი მორწმუნე არ უნდა დასთანხმდეს, რომ მისი სარწმუნოება სხვისი ხარჯით ინახებოდეს, სახელმწიფოში არიან მორწმუნენი და ურწმუნონი და არც შესაძლებელია, რომ ურწმუნოთა ხარჯით ვრცელდებოდეს სარწმუნოება. თუ სასწავლებლებში სარწმუნოებას ვტოვებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ურწმუნოებს ახდევინებს ფულს და ამით მხოლოდ მორწმუნენი სარგებლობენ. თუ იმ დებულებას ვიზიარებთ, რომ ეკლესია გამოყოფილი უნდა იყოს სახელმწიფოდან, ასევე უნდა მივიღოთ სამღვთო სჯულზე მხოლოდ მუსულმანთა შესახებ გვაქვს გამონაკლისი, ამის შესახებ დიდ ხანს გვქონდა მსჯელობა და ბოლოს იმ აზრს დავადექით, რომ საჭირო არის დავტოვოთ მუსულმანთა სკოლებში სწავლება სამღვთო სჯულის. ჩვენ ეს მოვიმოქმედეთ ერთი პოლიტიკური მოსაზრებით: ჩვენი ფიქრით აჭარა და მუსულმანთა რაიონები, ადრე თუ გვიან, უნდა შემოგვიერთდენ. მთელი აგიტაცია მოწინააღმდეგეთა აშენებულია იმაზე, რომ მუსულმანთ ჩასძახიან, ქართველებს თქვენ გაქრისტიანება უნდათო და რომ ეს სამღვთო წავართვათ, ვტოვებთ შარიატის სწავლებას. მეორე მოსაზრება ის არის, რომ გვინდა გავატაროთ საყოველთაო სწავლა განათლება და თუ ჩვენ შარიატის სწავლება მოვსპეთ, ხალხს დავაფრთხობთ. სწორედ ეს მოსაზრებები გვაიძულებდა კომპრომისზე წავსულიყავით. აგრეთვე არსებობს განსხვავება შარიატის და სამღვთო სჯულის შორის. შარიატი არის ნაწილი სამღვთო სჯულისა. იგი ეხება ურთიერთობას მშობლებსა და კაცს შორის, ცოლ-ქმრის ურთიერთობას, ის აღწერილია ადათებში და რომ წავართვათ შარიატი, სამაგიერო უნდა მივცეთ მათ რაიმე ახალი. ამ მოსაზრებით უნდა დავტოვოთ შარიატის სწავლება იმ სკოლებში, სადაც მხოლოდ მუსულმანთა ბავშვები არიან. იქ კი, სადაც სწავლობენ ყველა ეროვნების შვილები, სადაც მუსულმანები არიან, იქ ვაუქმებთ სამღვთო სჯულის სწავლებას, რადგანაც მუსულმანებისთვის არ არსებობს საკუთარი საშუალო სასწავლებლები. მაშასადამე, მხოლოდ დაბალ სასწავლებლებში იქნება შარიატის სწავლა. რაც შეეხება პედაგოგიურ თვალსაზრისით, ყველა დარწმუნებულია, რომ იმ სახით სწავლება სამღვთო სჯულისა, როგორც სწარმოებს ეხლა, ყოვლად დაუშვებელია. უმცროს კლასებში აზეპირებენ მოსწავლეებს ლოცვებს იმ ენაზე, რომლის შინაარსსაც ბავშვის გონება ვერ მიხვდება და პედაგოგიური მხრით დაუშვებელია. თვით საგანში ისეთი პრობლემები არის, რასაც ბავშვის გონება ვერ მისწვდება. უფროს კლასებში ისწავლება ისეთი საგნები, რომლებიც ისტორიის ნაწილს შეადგენენ, მაგალ. საეკლესიო ისტორია, არის დარგები ისეთ სამღვთო სჯულში, რომელიც ფილოსოფიას ეხება... მოსწავლის გონებაში ხდება არევ-დარევა, რასაც ბუნებისმეტყველებიდან აწავლიან ერთ და იმავე მოვლენაზე სამღვთო სჯულით სხვა გვარად ხსნიან. სალი მოსაზრებით ხელმძღვანელობდა კომისია, როდესაც შეადგინა ეს კანონ-პროექტი.

ს. დოლიძე. აღნიშნავს, რომ სოც. დემოკ. ფრაქცია მხარს უჭერს ამ კანონ პროექტს. სარწმუნოება ხელს უშლიდა გამათავისუფლებელ მოძრაობას, ბნელი ძალები ყოველთვის სარგებლობდენ სარწმუნოებით, რათა მასსა ხელში ჰყოლოდათ. მხოლოდ ერთი ულოღიკობა არის, ვსპობთ სამღვთო სჯულს და ვტოვებთ რაღაც შარიატს. ყოვლად შეუძლებელია ერთ ნაწილს მოვუსპოთ და მეორეს დავუტოვოთ.

აფხაზი აღნიშნავს, რომ ქრისტეს მოძღვრება შეიცავს ძმობა-ერთობის მცნებას, ანარქიამ და ომმა ადამიანის ზნეობრივი მხარე დასცა. და ერის და სახელმწიფოს მოვალეობა არის მიაქციონ ყურადღება ამ დარგსაც. ორატორის აზრით, ოჯახი, ეკლესია და სკოლა უნდა ანვითარებდეს და ანსპეტაკებდეს ადამიანის გრძნობებს. ოჯახი და ეკლესია ვერ ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას და ერთად ერთი სკოლა დარჩა და გინდათ იქაც მოსპოთ ეს დარგი. როდესაც ერთმევა სარწმუნოება, სამაგიერო უნდა მიეცეს ადამიანსო. ორატორს საჭიროთ მიაჩნია, თუ კი სამღვთო სჯული მოისპობა, საჭიროა მორალის სწავლება იქნას შემოღებული. და შეაქვს ასეთივე შინაარსის წინადადება, რომ შემოღებულ იქნას მორალის სწავლება.

გ. ლასხიშვილი აღნიშნავს, რომ მთავრობა არ არის პრინციპიალურათ წინააღმდეგი ამ წარმოდგენილ კანონ-პროექტისა, და თუ ჩვენ თითონ არ შემოვიტანეთ, ამის მიზეზი იყო ის, რომ ჩვენ გადავდეთ ამის განხორციელება მომავალ წლისთვის. ჩვენ გვინდოდა რადიკალურათ შეგვეცვალა და ახალ ნიადაგზე დაგვეწყებია სკოლა. არ გვინდოდა, რომ ცარიელი დარჩენილიყო სამღვთო სჯულის ალაგი, საჭირო იყო მის მაგივრათ ეთიკა ან სხვა რაიმე საგანი შემოგვეღო. და რაკი ეს კანონ პროექტი შემოტანილია, ჩვენ ამის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს.

შ. ქარუმიძე. საჭიროთ სთვლის მოხდეს სამღთო სჯულის სწავლების მხოლოდ რეორგანიზაცია და არ მოისპოს იგი. შეუძლებლათ მიაჩნია სამღვთო სჯულის მოსპობა იმ დროს, როდესაც სახელმწიფო და ეკლესია არ არის დაყოფილიო.

სპ. კედია აღნიშნავს, რომ ხშირათ ჩვენ კანონ-პროექტებს სრულიად მოუმზადებლად, შეუსწავლელათ ვღებთ. ამ კანონ პროექტით ბრძოლას ვუცხადებთ იმ სარწმუნოების ბურჯს, რომლის გარშემოც ქართველი ხალხი იკრებდა ძალას და ენერგიას. სამღვთო პირებმა შექმნეს კულტურა და თქვენ კი ამ კანონ-პროექტით ერთის იერიშით გინდათ გაანადგუროთ ყველა ეს. ორატორის აზრით შეუძლებელია სამღვთო სჯულის მოსპობა, ხალხის დაუკითხავათ.

აკ. ფაღავა. ორატორს გაუგებრათ მიაჩნია ის ბრძოლა, რომელსაც აქ აწარმოებენ სპ. კედია და შ. ქარუმიძე. ჩვენ ამ კანონ-პროექტით ქრისტიანიზმს კი არ ვებრძვით და ამ რელიგიის საკითხს არავითარი კავშირი არ აქვს სამღვთო სჯულის სწავლების საგანთან. ორატორი აღნიშნავს, თუ როგორის მეთოდით ისწავლება სასწავლებლებში სამღვთო სჯული და ამტკიცებს, რომ მის სწავლებას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს. ორატორი ეთანხმება მომხსენებელს, რომ მე-5 მუხლი პროექტის დატოვებული იქნას. მხოლოდ მე 6 მუხლში, სადაც აღნიშნულია, რომ შარიატის მასწავლებელთ ხაზინა ინახავს, ეს უნდა შეიცვალოს და მის მაგივრათ აღინიშნოს, რომ მასწავლებლები ჯამაგირებს ღებენ საერთო წესით. აგრეთვე ორატორის აზრით ეს კანონი ძალაში მომავალ წლიდან უნდა შევიდეს.

ივანიცკი. ეს კანონ-პროექტი არ განხილულა სარწმუნოების კომისიის მიერ და საჭიროა უკან დაუბრუნდეს. ორატორი ვრცელ სიტყვას ამბობს პროექტის წინააღმდეგ, რომლის გატარებაც დამღუპველი იქნებაო.

შემოვიდა წინადადება კამათი შესწყდეს. კამათი შესწყდა; სხდომა გადაიდო.

## გერმანიის დელეგაციის ცნობები

თფილისი, 20 ნოემბერი.

**მდგომარეობა საფრანგეთში.**

ცნობები იმის შესახებ, თითქოს საფრანგეთში რევოლიუცია მომხდარიყოს, არ მართლდება. ჩვენ მივიღეთ დამატებითი ცნობები, საიდანაც შემდეგი სჩანს: ფრონტზე მართლა დაარსებულა ჯარისკაცთა საბჭოები. პარიზშიც დაწყებულ სოციალისტური მოძრაობა, მაგრამ ჩვეულებრივ კალაპოტს არ გასცილებია. პუანკარე წავიდა ფრონტზე საქმის გამოსაძიებლათ და ისევ უკან დაბრუნდა. 17 ნოემბერს პარიზში თითონ პუანკარეს მეთაურობით დიდი დემონსტრაცია მოხდა ელზას-ლორენის და სხვა ადგილების საფრანგეთთან შეერთების გამო. დაესწრნენ ამ ადგილების ქალაქთა მოურავები, (მერები) რომელთაც დიდი პატივი სცეს.

საფრანგეთში რომ დემოკრატიული მოძრაობაა, რომელიც თანდათან ძლიერდება—ამის უტყუარი ნიშნებია. აგრეთვე ზოგ ალაგას არსებობენ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები.

**რევოლიუციის მსვლელობა გერმანიაში.**

ყველა პროფესიონალური კავშირები და ორგანიზაციები ერთდებიან დიდ კავშირებად და ორგანიზაციებათ და მოითხოვენ დაუყონებლივ დამფუძნებელ კრების მოწვევას.

**გერმანიის ახალი მთავრობის ნაბიჯები.**

გერმანიის ახალი მთავრობა აცხადებს:

1) ბანკებში ყოველგვარ შენახულ ფულს, სესხის ობლიგაციებს და სხვ. ამ გვარებს კონფისკაცია არ შეეხება;

2) ამის მაგიერ მთავრობამ გადასწყვიტა გადამჭრელი ზომებით აიძულოს მსხვილი მესაკუთრენი გაიღონ გადასახადები ხაზინის სასარგებლოდ;

3) ჯამაგირები აფიცრებსა და ყოფილ მოხელეებს ჩვეულებრივ ეძლევათ;

4) აგრეთვე ეძლევათ თვიური დახმარება ინვალიდებსა და ომში დაღუპულთა ოჯახებს;

5) მთავრობის პროგრამაში მოხსენებულია, რომ სახელმწიფო მიწები დაიყოფა და მსხვილი მემამულეები შეზღუდულ იქნებიან მიწადმფლობელობაში და ჩამორთმეული მიწები გლეხების სასარგებლოდ გადაეცემა;

6) სამხედრო მოგების სახელმწიფოს სასარგებლოდ გადაცემა;

7) ერთდროული პროგრესიული გადასახადის შემოღება ქონებაზე.

8) ყველა მოქალაქეთა სრული თავისუფლება და სწორ-უფლებიანობა;

9) მთავრობა ყოველის სისასტიკით შეებრძოლება ყოველგვარ ბალშევიკურს, კონტრ რევოლიუციონურს და ყოველნაირს ტერორს და ძალდატანებას.

10) გამოქვეყნებულია მოწოდება, რომ მოწვეულ იქნება სრულიად გერმანიის დამფუძნებელი კრება, რომელსაც მცხოვრებლებმა ყოველის ძალღონით მხარი უნდა დაუჭირონ.

11) გერმანიის შინაგან საქმეთა სტატს-სეკრეტრად ინიშნება სახელმწიფო უფლების პროფესორი გუგო პრეისსი.

12) სახალხო განათლების სამინისტრომ დაუგზავნა ცირკულიარი ყველა პედაგოგიურ საბჭოებს, საცა აფრთხილებს, რომ ისტორიის სწავლება არ იქნეს გამოყენებული რაიმე პარტიული მიზნებისათვის.

**რევოლიუციის მსხვერპლნი.**

პირველ დღეს, როცა რევოლიუცია დაიწყო და სხვადასხვა ქარხნებში სროლა იყო, რევოლიუციის მსხვერპლად დაეცა 14 კაცი.

**გერმანია და გერმანული ავსტრია.**

ისეთი დოკუმენტი ჯერ არ გვაქვს, საიდანაც სჩანდეს, რომ გერმანული ავსტრია უკვე შეუერთდა გერმანიის კავშირს რაიმე ფორმალური აქტით. მაგრამ არის დეპეშები, რომ ეს კავშირი შეიკვრება.

**რუმინიაში.**

რუმინიიდან, თუ რა მდგომარეობაა იქ, არავითარი ცნობები არ მოდის. როგორც დეპეშებიდან ვიცით მის დედა ქალაქ ბუქარესტში შეთანხმების სახელმწიფოთა ჯარები შესულა. აქედან აშკარაა, რომ რუმინია მოწადინებული არაა მათ რაიმე წინააღმდეგობა გაუწიოს.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

20 ნოემბერი.

**ინგლისის პრესის ცნობები.**

18 ნოემბერი. იმპერატორი კარლოსი უნგრეთის ტახტიდან გადადგა.

„ფრანკფურტერ-ცაიტუნგ"-ს აუწყებენ, რომ ადმირალი ტირპიცი შვეიცარიაში გაიქცა.

ოსმალეთის მთავრობამ უბრძანა მოსულში მდგარ სამხედრო ძალთა უფროსს, მიიღოს გენერალ მარშალის პირობები ქალაქის დაცლისა და მეციხოვნე ჯარის მიერ იარაღის დაყრის შესახებ.

ფიქრობენ, რომ მესოპოტამიაში მყოფ გარნიზონების დანებება მშვიდობიანათ ჩაივლის.

დროებითი ზავის პირობების თანახმად აღმოსავლეთ აფრიკაში 14 ნოემ. კასმის სამხრეთით, მდინარე ჩამბეზისთან, დაბენებდა გერმანელთა სამხედრო ძალა ფონ-ლეტოვ ფორშეკის მეთაურობით. კვირას მოკავშირეებმა დაიწყეს წინსვლა რეინისკენ. დილა ადრიანათ. მცირე რაზმები მუსიკით და სიმღერით გზაზე გავიდა. ჯარმა დილის 9 საათზე გაიარა სადარაჯო პოსტები, რომლებიც დროებითი ზავის ხაზზე დგას. ფრანგებმა მთელ ფრონტზე საზღვარი გადალახეს და ბელგიაში და დაპყრობილ პროვინციებში შევიდნენ. მოკავშირეთა მიწა-წყალზე მოწინააღმდეგის არც ერთი ჯარისკაცი არ დარჩენილა.

**ფრანგული პრესის ცნობები.**

18 ნოემბერი.

გერმანია მოკავშირეებს შეეკითხა, სად და როგორ ჩააბაროს თავისი წყალქვეშა ნავები, ჯავშნოსანი ფლოტი, როგორც იარაღის ასაყრელად, ისე დასაკავებლათ.

ამერიკის შეერთებულ შტატების სამხედრო მინისტრმა განკარგულება გასცა ნაწილობრივი დემობილიზაციის შესახებ.

ფოსტის მუშაობა მთელს ბელგიაში აღდგენილია.

სტამბოლთან შეთანხმების სახელმწიფოთა ფლოტი სდგას.

ოფიციალურ ცნობების მიხედვით 1914 წლის საზღვრებში არც ერთი გერმანელი ჯარისკაცი აღარ არის. ჩვენ დავიპყარით მარენბურგი, ფიუმე, ბუიონი, ლორენი, სედანი და შევდივართ მორმანუში, დეიზეში და მეტცის ფორტებში, ელზასში, ლედუანში, შორმეკში, სენ-მარიში კოლმასის შესავალთან შელგიტალტის მადაროებში და ენზგეიმში. გენ. კირშაუერი მიულჰაუზენში შევიდა.

**ბალშევიკების ცნობები.**

მოსკოვი. სამხედრო ცნობა. ჩრდილოეთის ფრონტი. კოტლასის რაიონში ჩვენმა მარცხენა ფრთის სამხედრო ნაწილმა უკან დაიხია და გამაგრებული პოზიცია დაიჭირა. აღმოსავლეთის ფრონტი. სამარის რაიონში უფას მიმართულებით მტრის ძალის სიმრავლის გამო ჩვენმა ჯარმა დაიხია. ჩრდილოეთით ჩვენ იერიშით დავიჭირეთ უსმანი და ბელებეის, ჩრდილოეთ დასავლეთით ტაშლი. სარაპულის მიმართულებით მტერი ეცადა კამის რკინის გზის ხიდზე გადმოსვლას, მაგრამ უკუ ვაგდეთ. ვოტკინის რაიონში ჩვენმა ჯარმა კამის მარჯვენა მხარე დაიჭირა და მოწინააღმდეგისაგან გასწმინდა. პერმის რაიონში კუნგურის მიმართულებით მოლებსკის ქარხნის გარშემო ბრძოლა გრძელდება. ჩვენ მტრის თხრილების პირველი ხაზები ავიღეთ. კუნგურ ეკატერინებურგის რკინის გზის ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია. ოსვენის მიმართულებით სადგურ კუშიბიდან 10 ვერსზე ლომოვკის ხელში ჩასაგდებათ ბრძოლა გრძელდება. სამარა. თეთრ გვარდიელები სამარის ევაკუაციას ახდენენ. ორენბურგის ახლო რამდენიმე წყებათ სანგრებია გათხრილი და მავთულის ხლართებია გაყვანილი. ორენბურგში დიდ ძალებს მოუყარეს თავი. მოსალოდნელია დიდი ბრძოლები ნოვოსერგიევსკთან, სადაც მტრის ჯარი სდგას.

**რევოლიუცია ჰოლანდიაში.** სტოკჰოლმი, 15 ნოემბერი. გუშინ ინგლისის ქვეითა პალატაში ხმა გავრცელდა, რომ ჰოლანდიაში რევოლიუცია. ჰოლანდიაში დაარსდა საბჭოები. საღამოს გაზეთები ამტკიცებენ ამ ცნობებს. მთავრობა ცდილობს შექმნას თეთრ გვარდიელთა რაზმი. გაზეთების სიტყვით ჰოლანდიაში უკვე საბჭოთა რესპუბლიკაა. ბელგიაში რევოლიუციონური მოძრაობა გრძელდება. გერმანელი ჯარისკაცები იბრძვიან ოფიცრებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ. დანიაში, კოპენჰაგენის ქუჩებზე 3 დღეა, რაც ბრძოლა და სისხლის ღვრაა, რის შედეგსაც ბურჟუაზიული პრესა მალავს. შვეიცარიაში რევოლიუციონური მოძრაობა ვითარდება, დაწვრილებითი ცნობებს ბურჟუაზიული გაზეთები მალავენ. ხარკოვი. უკრაინის მემარცხენე ესერები მრავლად ავრცელებენ პროკლამაციებს. პროკლამაციაში ნათქვამია: „საყოველთაო აჯანყების დრო უკვე დადგა, უნდა მხნედ ვიყოთ. მებრძოლი რაზმები მხოლოდ მოქმედების დაწყებას ელოდებიან." ნოვოჩერკასკი. 16 ნოემბერს მუშებმა და მოსწავლეებმა გამართეს დემონსტრაციები, რომელიც მთელ ღამეს გრძელდებოდა. გამოცხადდა სამხედრო წესები.

როსტოვი. დონის მთავრობის ოფიციოზმა ბოლო დროს კილო იცვალა და მოუწოდებს მეტის დაკვირვებით აწარმოონ ბრძოლა ბალშევიკებთან, რადგანაც მოკავშირეთა რეალური დახმარება არც ისე ჩქარაა მოსალოდნელი. ვიტებსკი. ლეპელის და პელეცის დეპუტატთა საბჭოები ბურჟუაზიას და მემამულეთ დაბებიდან ასახლებენ. ბურჟუაზია ბორისოვში გარბის. კურსკი. ნოვოზიბკოვში გერმანელთა მოსაზღვრე დივიზიას ყრილობა ჰქონდა. ყრილობამ პოლიტიკური მომენტი განიხილა. სტაროდუბის და პიატოვსკის გერმანელთა პოლკების წარმომადგენლებმა სურვილი განაცხადეს სტაროდუბისში და პიატოვსკში ჩვენი ჯარი შეუშვან, რისთვისაც გვთხოვენ რამოდენიმე დღის ვადას. მოსკოვი. ცნობა მოვიდა, რომ სადგური სეენოე და გოსტიბევი გერმანელთ დაუცლიათ და ჩვენს ჯარს დაუჭერია. გერმანელებმა ბელგოროდი დასცალეს. მოგილიოვის ტერიტორიის დაცლის შესახებ გერმანელმა კომენდანტმა განაცხადა, რომ გერმანიის მთავრობისაგან ბრძანება აქვს გაანთავისუფლოს რუსეთის ტერიტორია. სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა ბერლინში დეპეშა გააგზავნა პეტერბურგსა და მოსკოვში გერმანულ ჯარში საბჭოების დაარსების გამო. ტელეგრამაში ჩიჩერინი ამბობს, რომ რუსეთი ვერ წავიდოდა მუშათა და ჯარისკაცთა სურვილის წინააღმდეგ. გოგენცოლერნთა გვარეულობის წარმომადგენლებთან რუსეთს არ სურს საქმე დაიჭიროს. დასასრულ ნათქვამია, რომ ბერლინის საბჭოს რეზოლიუციის თანახმად, რუსეთის საელჩო ახლო მომავალში დაბრუნდება ბერლინში. გერმანიის კაბინეტის წევრმა ჰააზემ განაცხადა, რომ ის უარს აცხადებს რუსეთისგან მიიღოს სურსათით დახმარება, რადგან სურსათი ამერიკიდანაა მოსალოდნელი. ამის პასუხათ გერმანიის საბჭოებს ჩიჩერინმა გაუგზავნა რადიო-დეპეშა, სადაც ამბობს, რომ მთავრობის აზრით, გერმანიის უარი გამოიწვია ამერიკის ძალდატანებამ, და რომ რუსეთის მუშათა და გლეხთა მთავრობა ელის მომენტს, როცა გერმანიაში რევოლიუციონური მოძრაობა უმაღლეს წერტილს მიაღწევს. ჩიჩერინი ჰპირდება, რომ მთელი ძალ-ღონით და ქონება-საშუალებით დაეხმარება გერმანიის რევოლიუციონურ მშრომელ მასსას.

**გერმანული პრესის ცნობა.**

ყოფილი საიმპერატორო თეატრები ბერლინში ეროვნულ თეატრებათ ცხადდება. „ფორვერტსი" მოწინავე წერილში—„სოციალიზმის ტენდენცია" სწერს: „ომის განმავლობაში სოციალისტურ უმრავლესობასა და დამოუკიდებელ სოციალ-დემ. შორის მოხდა განხეთქილება, რომელიც გამოიწვია სამხედრო სესხის საკითხმა. ეს საკითხი აღარ არსებობს. მისი ადგილი სხვა საკითხებმა დაიჭირა. ორივე სოციალისტური პარტიები ამიტომ ეხლა ერთად მუშაობენ. მიუხედავათ ამისა ორგანიული კავშირი მათ შორის აქამდე მაინც ვერ იქნა აღდგენილი, რომლის მიზეზია ძმათა შორის ომის გამო გაჩენილი წყლულები, გრძნობის გავლენით წარმოშობილი. ამ ოპოზიციას მიემატა ძლიერი ოპოზიცია იმის გამო, რომ სოც.-დემ. ერთი ნაწილი დაშორდა სოც.-დემ. პლატფორმას და წინააღმდეგ წავიდა სოციალისტების უმრავლესობის და დამოუკიდებლობის დიდი ნაწილი, რომელნიც აქამდე წინანდელ პლატფორმაზე სდგას. სოც.-დემ. პროგრამა მოითხოვს, რომ დემოკრატიულ კონსტიტუციის მისაღწევად ყოველგვარ საშუალებით სწარმოებდეს ბრძოლა. როგორც კი მიიღო თვითგამორკვევის უფლება ხალხმა, იმავე პროგრამის თანახმად უნდა გადასწყვიტოს, თუ როგორი წესწყობილება სურს. ზემო აღნიშნულ დემოკრატიულ მცნებას ეწინააღმდეგება ძალადობის უწესრიგო თეორია სპარტაკის ჯგუფისა, რომელსაც სურს პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში გამარჯვებით საკუთარი მსოფლმხედველობა თავს მოახვიოს მთელ საზოგადოებას. სპარტაკის ჯგუფის შეცდომა ის არის, რომ მას სრულებით არ გაუმარჯვნია და თავისი თავი კი მუშათა კლასის გამომსახველად მიაჩნია. მუშათა კლასი არ იზიარებს სპარტაკის ჯგუფის პლატფორმას, რადგან იცის, რომ საბოლოო გამარჯვებას იგი მოიპოვებს. ეხლა დღის ლოზუნგია ამ არჩევნებისთვის მზადება. „ფორვერტსი" მოითხოვს დამოუკიდებელთა ერთ ნაწილს სპარტაკის ჯგუფისადმი დამოკიდებულების გამორკვევას, რათა პარტიამ ერთნაირი და მტკიცე პოზიცია დაიჭიროს. წერილი ასე თავდება: „მას შემდეგ, რაც საერთო და ფედერატიულ სახელმწიფოთა სოციალისტურმა მთავრობებმა დაადგინეს ეროვნულ დამფუძნებელ კრების მოწვევა და ამასთანავე ჰაერში დაკიდებულ პრობლემათა გადაწყვეტა, ყოველივე გამოურკვევლობა დამოუკიდებელთა შორისაც, უნდა მოისპოს ჩვენთან არსებობს ერთი გზა: სახალხო მმართველობით სოციალიზმისაკენ".

ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის მთავრობათ: დროებითი ზავის პირობები დიდ საფრთხეში აგდებს და ემუქრება რეინის მარცხნით მდებარე ადგილების ეკონომიურ მდგომარეობას და მის დამოკიდებულებას გერმანიასთან. თუ დროებითი ზავის მკაცრი პირობები არ შემსუბუქდა, იმ შემთხვევაში იმის გამო, რომ რეინის მარცხენა ნაპირს მჭიდრო ეკონომიური კავშირი აქვს გერმანიასთან, ჩვენს არსებობას საფრთხე მოელის და შესაძლოა, რომ მშვიდობიანი განვითარება, რომელსაც უკვე დაადგა ჩვენი ხალხი, ისევ შესწყდეს. ამგვარათ ჩვენში ფეხს მოიკიდებს არა სასურველი ბალშევიზმი, რომელიც მეზობელ სახელმწიფოებისთვისაც საშიში იქნება. რომ ეს არ მოხდეს, ჩვენ აუცილებლათ მიგვაჩნია დროებითი ზავის პირობათა შემსუბუქება და მათი შეცვლა პრაქტიკულათ განხორციელებისათვის შემდეგნაირათ: 1) პრინციპიალური თანხმობა, რომ ეკონომიური ურთიერთობა რეინის მარცხენა ნაპირის მთელ გერმანიასთან და საზღვარ-გარეთთან არ უნდა დაირღვეს სამხედრო ოკუპაციის დროსაც. 2) შემდეგ საყურადღებო მუხლების დეტალური განსაზღვრა: ა) რეინის მარცხენა ნაპირზე, ძველი იმპერიის ტერიტორიის საზღვრებში, ნახშირის და სპილენძის მადაროთა ექსპლოატაცია ძველი სახელით გერმანელ მესაკუთრეთა მიერ, ბ) ნახშირის და სპილენძის გაზიდვის უფლება რეინზე და მარჯვენა რეინის გერმანიაში, გ) რეინით სარგებლობა ტრანსპორტისთვის ძველი გერმანიის სახელმწიფოს საზღვრებში, დ) გემების თავისუფალი მიმოსვლა როტერდამსა და ზღვის ნაპირზე, ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვიდან გერმანიაში ნახშირის და სურსათის შემოსატანათ, ე) დათმობილ ადგილებში რკინის გზით თავისუფალი სარგებლობა, ზ) რეინის მარცხენა მხრიდან სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლებულთა ტყვეთ წაყვანის აკრძალვა, თუ გინდ ისინი სამხედრო ფორმას ატარებდნენ, ი) რეინის მარცხენა ნაპირზე სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებებმა უნდა განაგრძონ მოქმედება, კ) დათმობილ ოლქებში შეიძლება საქონლის ჩამორთმევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს იმ ოლქებში მყოფ ჯარისკაცთა დასაკმაყოფილებლათ, ლ) რეინის მარჯვენა მხარეზე დაცლილ ადგილებში და ნეიტრალურ ქვეყნებში, ტელეფონის, ტელეგრაფის და ყოველგვარ საფოსტო საქმეების თავისუფლათ წარმოება და რეინის მარც-

ხენა მხრიდან მარჯვენა მხარეზე ყოველგვარ სურსათის თავისუფლად შემოზიდვა, 3) საბაჟო საზღვრათ უნდა დარჩეს ძველი სახელმწიფოს საზღვარი ლიუკსენბურგით, რომელიც გერმანიის საბაჟო კავშირს ეკუთვნის. რადგანაც სამართლიანი წესდებები საზავო ხელშეკრულებაში იქნება შემუშავებული, ამიტომ ბაჟების ალება ხდება ძველ საიმპერიო საზღვარზე გერმანიის საბაჟოს მოხელეთა მიერ. შემდეგ, გერმანიის მოხელეთ, შემოზიდვის, გაზიდვის და ამ საზღვარზე ტრანზიტის შესახებ გერმანიის მთავრობის განკარგულებანი სისრულეში მოჰყავთ. შემდეგ ჩვენ იძულებული ვართ აღვნიშნოთ, რომ 5000 ორთქლმავალის და 150,000 ვაგონის გადაცემა ახლანდელ მდგომარეობაში, გვაკლებს საშუალებას რამოდენადმე მაინც უზრუნველვყოთ ჩვენი ქალაქები სურსათით. ჩვენ არ გვექნება საშუალება თუნდ ერთი კვირით უზრუნველვყოთ მცხოვრებნი სურსათით და რადგან აღმოსავლეთში, დასავლეთში, ჩრდილოეთში და სამხრეთში ერთნაირი მდგომარეობა იქმნება, ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ მას, რომ სახელმწიფოს სხვადასხვა ნაწილში ერთსა და იმავე დროს, ტრანსპორტის დაბრკოლების გამო, მოხდება აჯანყება შიმშილის ნიადაგზე, რომელიც ვინ იცის რა შედეგს მოიტანს. დასასრულ, ბლოკადის გაგრძელებას, განსაკუთრებით კი ბალტიის ზღვაში, შედეგათ ის მოყვება, რომ ჩრდილოეთ გერმანიის და სკანდინავიის ეკონომიური ცხოვრება სრულიად შეჩერდება. ბლოკადის გაგრძელების დროს უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება მეთევზეობის შემცირებას ბალტიის და ჩრდილოეთის ზღვაში. სპააში მყოფ ჩვენ წარმომადგენლებს მივუთითეთ შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან ზემო აღნიშნულ საჭიროებათა განხილვის აუცილებლობაზე, მაგრამ ჩვენ ვერაფერი გავაწყვეთ, რადგანაც არც ერთ სახელმწიფოს წარმომადგენელს ამის შესახებ მოლაპარაკების დავალება არ ჰქონია, რადგანაც დროებითი ზავის პირობები უკიდურეს საფრთხეს გვიქადის, გთხოვთ აგვიხსნათ დაწვრილებით, სად შეუძლია ჩვენ წარმომადგენლებს შეხვდნენ შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლებს ზემო ჩამოთვლილ საკითხების განსახილველათ. რადგანაც სატრანსპორტო საკითხი დღითი-დღე მწვავდება, ფრონტიდან წამოსული მასა კი ორგანიზაციას დარღვევას უქადის, გთხოვთ დრო არ დაკარგოთ, რომ შეძლება მოგვცეთ შემდეგშიაც დავიცვათ წესიერება. საგარეო საქმეთა სტატს-სეკრეტარი სოლფი.

. 2 იანვარს 1919 წ. დანიშნულია სარჩევნო ფურცლების გამოქვეყნება. 2 თებერვალს 1919 წ. დამფუძნებელ კრების არჩევნები.

# ახალი ამბები

კარჩიკიანის მოკვლის გამო. მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ სომხეთის მთავრობის თავმჯდომარეს კაჩაზნუნს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „დღეს გავიგე სომხის მოღვაწის მინისტრის ქრისტეფორე ივანეს ძე კარჩიკიანის ტრაღიკული გარდაცვალება. აღშფოთებული ამ ვერაგულ აქტის გამო, როგორც ჩემი, აგრეთვე საქართველოს მთავრობის სახელით სომხეთის მთავრობისა და სრულიად სომხის ხალხის წინაშე გამოვსთქვამთ ღრმასა და გულწრფელ თანაგრძნობას. 15 ნოემბერი«. პასუხათ მიიღო: „ერევანი, 19 ნოემბერი". „ჩემი მთავრობის სახელით და აგრეთვე პირადათ ჩემგან, მადლობას გიძღვნით თქვენ და საქართველოს მთავრობას იმ თანაგრძნობისთვის, რომელიც თქვენ გამოხატეთ მინისტრ კარჩიკიანის ტრაღიკულათ გარდაცვალების გამო. მინისტრი თავმჯდომარე კაჩაზნუნი.

◆ აზერბეიჯანის რესპუბლიკის დიპლომატიური რწმუნებულმა ჯაფაროვმა სომხეთის რესპუბლიკის რწმუნებულს ჯამალიანს შემდეგი ნოტა გაუგზავნა: „იმ ცნობების თანახმად, რომელიც ჩემს მთავრობას აქვს, სომხის სამხედრო ნაწილებმა გადალახეს აზერბეიჯანის რესპუბლიკის საზღვრები და შეიჭრნენ განჯის მაზრის მეცხრე ნაწილის მიდამოებში, რომელიც გეოქჩის ტბის ჩრდილოეთის მხრივ მდებარეობს. ადგილობრივი 60 ათასი მაჰმადიანთა მცხოვრებნი ამ ჯარმა გაძარცვა და ძალადობა იხმარა მათზე. გაცნობებთ რა ამას, ჩემის მთავრობის სახელით ვაცხადებ პროტესტს და გთხოვთ აცნობოთ თქვენს მთავრობას ეს ამბავი, რომ მან სწრაფი ზომები მიიღოს ამ ძალადობის მოსასპობად განჯის მაზრის მაჰმადიან მცხოვრებლებზე და აზერბეიჯანის ტერიტორია გასწმინდოს სომეხთა ნაწილებისაგან".

◆ ამიერ-კავკასიის ერთა კონფერენცია. ჯამალიანმა მოახსენა საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ საკითხი ამიერ კავკასიის ერთა კონფერენციის შესახებ, მორიგი საკითხია სომხეთის პარლამენტის და პასუხს ამ მოკლე ხანში მიიღებს საქართველოს მთავრობა.

◆ აზერბეიჯანის მთავრობამ მოწოდებით მიმართა ბაქოში მცხოვრებთ, რომ მოკავშირეთა ჯარის შემოსვლა ბაქოში ხელს არ შეუშლის მათ დამოუკიდებლობას და მოუწოდებს მშვიდობიანობა არ დაარღვიონ.

◆ შუამდგომლობა. სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელმა ჯამალიანმა შუამდგომლობა აღძრა საგარეო საქმეთა მინისტრის წინაშე, გაატარონ საქართველოს ტერიტორიაზე 250 სომეხი, რომელნიც სადგ. სანაინზე დაჰკავეს. მინისტრმა დადებითი პასუხი გასცა და სამხედრო მინისტრს გადასცა.

◆ დანიშვნა. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, თფ. მილ. უფროსის ყოფილი თანაშემწე ნ. შელია დუშეთის მაზრის კომისრათ დაინიშნა.

◆ სომეხი ლტოლვილები კავკავში. როგორც ამბობენ, ბოლშევიკური მთავრობა კავკავში სომეხ ლტოლვილთ ძლიერ ცუდათ ეპყრობა. ლტოლვილების რიცხვი 6,000 კაცამდეა. მთავრობას მათთვის წინადადება მიუცია თვე ნახევარში გავიდნენ კავკავიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალით გაგრეკავთო. ამ მიზნისათვის მთავრობას 600,000 მანეთი გადაუდვია. სომეხი ლტოლვილები იძულებული არიან უკანვე დაბრუნდნენ.

◆ დატუსაღება. თფილისის მილიციის უფროსის განკარგულებით, პავლე სვეჩკინს, როგორც საზოგადოებისთვის მავნე პირს, 3 თვეთ ციხე მიუსაჯეს.

◆ ქურდობა. 18 ნოემბერს, ღამის 11 საათზე, სააქციონერო საზოგადოების ინსპექტორის ჩხატარაშვილის ბინაზე (პეტრე დიდის ქუჩა № 10) შეიპარა ორი ბოროტმოქმედი და წაიღეს ორი ჩემოდანი სხვადასხვა საქონლით. ჩხატარაშვილმა ქურდებს მოუსწრო და ორივე მილიციონერების დახმარებით დაატუსაღეს. ისინი აღმოჩნდენ: მ. თვარაშვილი და ვ. ბრიაშვილი.

◆ ლექცია. დღეს, 21 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ლექცია: 1) სერ. ჟორჟოლიანისა „პოლიტიკურიეკონომია", 2) ინჟ. ი. ალშიბაიასი „ელექტრონისა და ორთქლის ძალა".

**ქრონიკა.**

— დღეს, 21 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, კოლექტივის ბინაზე შესდგება მე 6 რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

— დღეს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია მე 3 რაიონის კოლექტივის კრება

— დღეს, 21 ნოემბერს, საღ. სრულ 6 საათზე, ბიუროს ბინაზე, შესდგება მე-4 რაიონის კოლექტივის წევრთა კრება.

— დღეს, ნაშუადღევის 3 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის შენობაში (მიხეილის ქუჩა № 91), შესდგება კრება თფილისის მარქსისტ სტუდენტთა ორგანიზაციების გამგეობათა.

— დღეს, საღამოს 5 საათზე ბიუროს ბინაზე შესდგება მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

**პროვინციის ქრონიკა.**

ყვირილა. 22 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, ადგილობრივ საკრებულოს დარბაზში მოხდება ყვირილა-შორაპნის რაიონების სოც.-დემოკრატიული პარტიის კრება, რომელიც გაგრძელებაა წარსული 8 ნოემბრის კრების, განსახილველია ფრიად საყურადღებო საკითხები, ამიტომ პარტიის ყველა წევრს ევალება დაესწროს კრებას.

# ჩვენი ჯარების შექმნა და მისი მტერ-მოყვარენი

II

წინა წერილში შევეხეთ იმ დემაგოგიურ გამოსვლებს, რომლებსაც ზოგიერთი წრეები აწარმოებენ ჯარის შექმნის თაობაზე. ეხლა მოკლეთ განვიხილოთ, თუ რამდენათ ყალბი და უსაფუძვლოა ყველა ის მოსაზრებანი, რომლებსაც ჩვენი მოწინააღმდეგენი ასახელებენ ჯარის მოუწყობლობის გამო.

უპირველესად უნდა ითქვას დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატების და მათი აშკარა დამყოლთა საყურადღებოთ, რომ ჩვენმა მთავრობამ რაკი საჯაროთ გამოაცხადა რეგულიარულ ჯარების შექმნის საჭიროება, გულწრფელადაც შეუდგა ამ საქმეს. დამოუკიდებელი ნაც.-დემოკრატები თავიანთი საზომით ზომავენ ყველას და ყველაფერს, მაგრამ ნუ დაივიწყებენ, რომ ორპირული გზით ჩვენი მთავრობა არ დადის. მერე და თუ კი არ სურდა მთავრობას ჯარი, ვისი შიშით და გავლენით შეუდგა მის მოწყობას. იქნებ დამოუკიდებელი ნაც.-დემოკრატების? მეშარჯვენე ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა ჩვენი ჯარის მოუწყობლობის მთავარ მიზეზათ ასახელებენ სახალხო გვარდიას და სხვადასხვა ჯურის დემაგოგებისაგან პრესაში თუ პარლამენტის ტრიბუნიდან, ყველგან და ყოველთვის მუდამ იმას გაიძახიან, რომ მთელი ყურადღება მთავრობისა გვარდიისაკენ არის მიპყრობილიო, გვარდიას შვილათ სთვლიან, ჯარს კი გერათაო, გვარდიელებს კარგათ აჭმევენ, ასმევენ, აცმევენ, ახურავენ, ბინას აძლევენ და თანაც ჯამაგირებს უნიშნავენ და ჯარი კი მშიერი და ტიტველა გვყავსო და სხვა ასეთები. ასეთი დემაგოგია უმთავრესათ ჩვენი ნაციონალ-დემოკრატების საშუალებით გავრცელებულია საზოგადოების ერთ ნაწილში. ჩვენი ჯარის აფიცრობის დიდ უმეტესობას ხომ ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი ეს ყალბი შეხედულება გვარდიის შესახებ.

ეხლა მოკლეთ განვიხილოთ, თუ რამდენათ შემცდარი და ყალბია ასეთი შეხედულება სახალხო გვარდიაზე. ჩვენს სახელოვან სახალხო გვარდიას საფუძველი ჩაეყარა ამ ერთი წლის წინათ, ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ჩვენი ქვეყანა რევოლიუციის ქარ-ცეცხლში იყო გახვეული. იმ ხნიდან მოყოლებული, თუ რამდენჯერ გადაარჩინა ჩვენი ქვეყანა დაღუპვისაგან სახალხო გვარდიამ, ამაზე ზედ მეტად მიმაჩნია ლაპარაკი, ვინაიდან ქვეყანაც და ხალხი კარგად გრძნობს და ხედავს ამას და თუ ერთი მუჭა პოლიტიკურათ დაბრმავებულნი ამას ვერ ხედავენ, ეს არც ისე საჭიროა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ გვარდია ეს დროებითია, როგორც კი ჯარი საკმარისად მოეწყობა და შეიძლებს ჩვენი ქვეყნის დაცვის უზრუნველყოფას, გვარდიაში მყოფნიც თავიანთ ადგილებს დაუბრუნდებიან. თითქმის მთელი შემადგენლობა ჩვენი სახალხო გვარდიისა ქარხნების და რკინის გზის მუშებია და ისინიც მოუთმენლათ მოელიან იმ დროს, როცა ჯარის ნაწილები დაიჭერენ მათ ადგილებს საზღვრებზე და პოზიციებზე და ისინი კი თავიანთ ქარხნებში წავლენ. ნუ თუ ფუფუნებათ უნდა ჩაითვალოს, როცა მუშას მიუტოვებია ოჯახი, ნორმალური პირობები მუშაობისა და ორ სამ თვეობით პოზიციებზე არის?

რაც შეეხება სასმელ-საჭმელს, ვინც იცნობს ჩვენს გვარდიას და მის ყოფა ცხოვრებას, დამეთანხმება, რომ მართლა არც ისე კარგ პირობებშია ამ მხრივ, ყოფილა მაგალითები პოზიციაზე ყოფნის დროს, რომ მთელი კვირაობით ლობიოსა და შავ პურსაც ვერ ღებულობდნენ ჩვენი გვარდიელები და თუ უმეტეს შემთხვევაში მათ თავის დროზე აქვთ წილხვედრილი ულუფა, ეს მიეწერება იმ გარემოებას, რომ გვარდიის მთავარი შტაბი და მისი სასურსათო განყოფილება ენერგიულათ მუშაობს ამ მხრივ. რაც შეეხება ჯამაგირებს, რომელზედაც ასე ბევრს ლაპარაკობენ, ნუ თუ ისე დიდ ჯამაგირათ უნდა ჩაითვალოს ის 250 მანეთი, რომელსაც თვეში აძლევენ იმ გვარდიელებს, რომლებსაც ახლად იღებენ და არსად არ ითვლებიან სამსახურში. დამეთანხმეთ, რომ დღეს ყოველი კაცი, რა გინდ სამუშაოსაც მოჰკიდოს ხელი, 500—600 მანეთს ყოველთვის აიღებს თვეში. ეხლა ორიოდე სიტყვა ჯარში გასაწვევ პირთა შესახებ, რომლებითაც თითქოს გვარდია სავსე იყოს. ესეც არ არის მართალი. მთავარ შტაბს სახალხო გვარდიისას აქვს გაცემული მკაცრი განკარგულება, როგორც ადგილობრივ სახელმძღვანელოთ, აგრეთვე რაიონულ შტაბებისთვისაც, რომ გვარდიაში არამც და არამც არ იქნან მიღებული სასალდათო პირები. და თუ აქა იქ მაინც შეიპარა თითო-ოროლა ჯარში გასაწვევი პირი, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ გვარდიის შტაბები მასსიურად ღებულობდენ სასალდათო ახალგაზრდებს ჯამაგირებზე და მით გულს უცრუებდენ სხვებს ჯარში წასვლაზე...

დღეს ვინც გვარდიის დაშლაზე ლაპარაკობს, ის შეგნებულათ თუ შეუგნებლათ ჩვენი ქვეყნის დაღუპვას ლაღადებს. პატარა მაგალითი მოვიყვანოთ სანიმუშოთ. როდესაც სოხუმის რაიონში გენერალ მაზნიაშვილის ჯარის ნაწილები დაიღალნენ ხანგრძლივათ ფრონტზე დგომით და გამოცვლას თხოულობდენ, ერთად ერთი საგრძნობი ძალა აღმოჩნდა ჩვენი სახელოვანი გვარდია, რომელმაც გამოსცვალა ეს ჯარის ნაწილები და დღემდისაც გვიცავს. რომ გვარდია არ გვყოლოდა, ვინ იცის, რა მოგველოდა.

თითონ გვარდიელები დიდ მუშაობას აწარმოებენ აგრეთვე ფრონტზე, ამა თუ იმ მაზრაში ანარქიასთან ბრძოლის დროს. დაუღალავათ მუშაობენ აგრეთვე მცხოვრებთა შორის შეგნება-განვითარების სფეროშიაც. ამის მაგალითები იყო დუშეთში, სამეგრელოში და სხვაგანაც. სხვათა შორის ავრცელებენ იდეას ჯარის შექმნისას და ასეთი მუშაობის შემდეგ ბევრ ალაგას იყო მაგალითები, რომ მცხოვრებლებმა ასობით გაიყვანეს სასალდათო პირები. ვინც ამბობს, რომ გვარდია ხელს უშლის ჯარის შექმნასო, ავიწყდება ალბათ, რომ გვარდიელები თითონ სხვაზე მეტად არიან დაინტერესებული ჯარის შექმნაში, ვინაიდან თუ კი საკმარისი და რიგიანი ჯარი გვეყოლება, გვარდიაში მყოფი მუშებიც დაუბრუნდებიან თავიანთ ნორმალურ ცხოვრებას.

გადაჭრით უნდა ითქვას და მე მგონია ამასვე უნდა გრძნობდეს ყველა, რომ თუ დღეს სული გვიდგას და ვარსებობთ, ამაში სახალხო გვარდიას უპირველესი დვაწლი მიუძღვის. ყოველი პატიოსანი ადამიანი ეცდებოდა ჯარის ზოგიერთ შეუგნებულ ნაწილთა შორის ღირსეულათ დაეხასიათებინა და გაეცნო სახალხო გვარდიის ვინაობა და მოქმედება, თორემ იმ საშინელ დემაგოგიის და ცილის წამების გავრცელება, რომელსაც ზოგნი ეწევიან გვარდიის წინააღმდეგ ჯარში, ეს პირდაპირ ღალატია ჩვენი ქვეყნის წინაშე...

ვიქტორ ნინიძე.

# საქმის წარმოება ერობებში

ერობების გამგეობათა კონსტრუქცია, გარდა თითო ოროლა მაზრებისა, თითქმის ყველგან დათავდა და ამ ჟამათ ახლად არჩეულ გამგეობებს წინ დაუდგებათ კითხვა იმის შესახებ, თუ თავიანთ კანცელარიებში როგორ დააყენონ საქმის წარმოება. შეიძლება პირველი შეხედვით ბევრ გამგეობის წევრს ეს კითხვა უმრალო კითხვათ ეჩვენოს და მას ჯეროვანი ყურადღება არ მიაქციოს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ბევრ ქალაქის თვითმართველობებში გამგეობის წევრებმა სწორეთ ასეთი ზერელე შეხედულება იქონიეს ზემოთ აღნიშნულ კითხვაზე, რამაც თავისი უარყოფითი ნაყოფი უკვე გამოიღო და ამ ჟამათ საქმეები ისე აწეწილ დაწეწილია, რომ მათი სისტემატიზაცია გაცილებით მეტს შრომასა და ხარჯს მოითხოვს, ვიდრე ეს მოხდებოდა თავიდანვე. თუ ეს ასე მოხდა ქალაქის თვითმართველობებში, სადაც დიდიხნის გამოცდილება ჰქონდათ, რაღა იქნება ჩვენს ერობებში?

ამიტომ ეხლავე უნდა დაისვას ეს კითხვა და უნდა თავიდანვე მოწესრიგებულ იქნეს. პირველად ყოვლისა უნდა ვიმეცადინოთ, რომ ყველა ერობებში საქმის წარმოება ერთს განსაზღვრულ სისტემაზე ეყრდნობოდეს. ეს ითქმის მით უმეტეს ბუღალტერიაზე. უნდა ეხლავე უარყოფილ იქნეს ყოველგვარი „შინაურული" მოსაზრებანი ანგარიშების შესახებ და ყველა გამგეობებში ორმაგი იტალიანური ბუღალტერია იქნეს შემოღებული. მაგრამ არ კმარა მარტო იტალიანურ ბუღალტერიის შემოღება. საჭირო არის გამომუშავებულ იქნეს შემოსავალ გასავლის სტატიების რიგი, მათი რაოდენობა და ელფერი. ეს მით უფრო საჭიროა და აუცილებელი, რომ წლის ბოლოს, როდესაც ყველა ერობები გამოსცემენ თავიანთ ანგარიშებს, ადვილი იქნება მათი მეცნიერულათ დამუშავება და შედარებითი ანალიზის გაკეთება. თუ რამდენათ დიდმნიშვნელოვანი და აუცილებელია, რომ ერობებში საქმის წარმოება იყოს ერთს განსაზღვრულ სისტემაზე დაყრდნობილი, ამის საუცხოვო მაგალითს იძლევიან რუსეთის ერობები.

როდესაც რუსეთში ერობებმა უკვე შექმნეს თავისი საკუთარი ისტორია და როდესაც რუსეთის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწენი შეუდგნენ ამ ისტორიის შესწავლას, პირველი დაბრკოლება, რომელიც მათ გადაეღობათ წინ, ეს იყო ის, რომ ერობებთა შორის არავითარი კავშირი საქმის წარმოების მხრით არ აღმოჩნდა. შეუძლებელი იყო ერთი ერობის ცხოვრება მეორესათვის შეედარებიათ. ბევრ ადგილას სრულებით აწეწილ-დაწეწილი იყო საქმეები.

1897 წ. 9 ივნისს გამოვიდა მთავრობის სავალდებულო ინსტრუქცია, რომელიც იძულებულს ყოფდა ერობებს შემოეღოთ ერთფეროვნობა საქმის წარმოებაში და ანგარიშები ეწარმოებიათ „არა შინაურულათ".

მართალია, გვიან, მაგრამ მაინც შესძლეს რუსეთში თავი დაეხწიათ ასეთ არა სასურველ მდგომარეობიდან ერობებს და შემოეღოთ ერთფეროვნობა საქმის წარმოებაში. ჩვენც უნდა ვისარგებლოთ ჩვენი მოძმეების წარსულ გაკვეთილებით და თავიდან ავიცილოთ ის შეცდომები, რომლებიც დაშვებულ იყვნენ იქ, რუსეთში. ეხლავე, როგორც კი შეუდგებიან მოქმედებას უკვე არჩეული გამგეობები, ანგარიშები ორმაგ იტალიანურ ბუღალტერიის სისტემით უნდა დაიწყონ. არავითარი ხარჯის წინაშე არ უნდა შედრკენ. ამას მოითხოვს საქმის ინტერესები და ვინც ამ მხარეს ზურგს აუხვევს, ის დაუთვლელ მტრობას გაუწევს ჩვენს ნორჩ ერობას.

მაგრამ გარდა ანგარიშების მოწესრიგებისა ჩვენს ერობებს წინ უდგას მეორე უფრო სერიოზული და ძნელად გადასაჭრელი კითხვა, ეს არის კითხვა იმის შესახებ, თუ როდის შეუდგენ ერობები სტატისტიკურ ცნობების შეკრებას. სერიოზულია ეს კითხვა ერობებისათვის იმიტომ, რომ მაზრის მოვლა პატრონობა, მისი პროგრამის გაგება მხოლოთ მაშინ შეიძლება, თუ მაზრა ცოტაოდნათ მაინც შესწავლილია და მის მდგომარეობაზე ასე თუ ისე დაახლოვებითი წარმოდგენა მაინცა გვაქვს. დღემდე ამ მხრით ან სრულებით არაფერი გაკეთებულა, ან და თუ ვისმეს რამე გაუკეთებია, ეს მასალაც ერობების ხელში არ არის. ჩვენ არ ვიცით არა თუ მარტო ეკონომიურ-სოციალური მდგომარეობა ჩვენი მაზრების, ჩვენ ისიც არ ვიცით, თუ რამდენი კომლი, რამდენი სული ცხოვრობს ამა თუ იმ სოფელში. მართალია, ძველი „საკამერალო" ფურცლები არსებობენ, მაგრამ ამ ჟამათ ეს მასალა სრულებით უვარგისი და გამოუსადეგარია, რადგან მსოფლიო ომმა ისე აწეწ-დაწეწა სოფლის ცხოვრება, ისე მძლავრათ შეარყია ოჯახური მდგომარეობა და შემადგენლობა ჩვენი სოფლების, რომ ომამდე შეკრებილი ცნობები არავითარ ღირებულებას აღარ წარმოადგენენ.

აუცილებლად უნდა მოხდეს მცხოვრებთა ახალი აღწერა და რაც შეიძლება ესაღწერაუნდა მოხდეს ამ მოკლე ხანში. მაგრამ სანამ აღწერას შეუდგებოდეთ, საჭირო არის მოხდეს ერობების წარმომადგენელთა ყრილობა, სადაც გამომუშავებულ იქნება კითხვებთა პროგრამა და მათი რიგი. უნდა ვიმეცადინოთ, რომ პროგრამა რაც შეიძლება მარტივი და მკაფიოთ შედგენილი იქნეს. პროგრამაში შეტანილი კითხვები უნდა შეესაბამებოდნენ ჩვენი მცხოვრებლების კულტურულ სიმაღლეს, რომ დასმული კითხვები მცხოვრებლებისათვის ადვილი შესაგნებ-შესათვისებელი გახდენ.

ერობების წარმომადგენელთა ყრილობაზე გადაწყდება, თუ ტეხნიკურათ როგორ უნდა მოეწყოს მცხოვრებთა აღწერის ცხოვრებაში გატარება. ჩვენ ამ ჟამათ მხოლოდ ზოგადი ხასიათის კითხვებს შევეხებით, რადგან ამ კითხვების გარკვევა და მათზე სჯა-ბაასი ყრილობამდე, საშუალებას მოგვცემს ყრილობაზე წარმომადგენლები უკვე გარკვეული აზრით შევხვდეთ ერთმანეთს. პირველად ყოვლისა უნდა დაისვას კითხვა იმის შესახებ, თუ მცხოვრებთა რომელი კატეგორია უნდა მოხვდეს აღწერაში: მარტო ისინი, რომლებიც ამა თუ იმ მაზრის ძირითადი მცხოვრებნი არიან, თუ ისინიც, რომლებიც დროებით მიწერილნი არიან რომელიმე მაზრის და მუდმივი ბინადრობა არსად არა აქვთ. ამასთან ერთად აღწერა უნდა მოხდეს ერთ დღეს ყველგან, თუ შეიძლება აღწერის პროცესი რამდენიმე ხანს გაგრძელდეს და თვით დღეც სხვადასხვა მაზრაში სხვადასხვა იყოს.

რაც შეეხება პირველ კითხვას, თუ აღწერის საგნათ მცხოვრებთა რომელი კატეგორია უნდა გახდეს, ამის შესახებ მუდამ აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა და არსებობს დღესაც. ჩვენ ამ ჟამათ არ შევუდგებით ამ აზრთა სხვადასხვაობის ფართედ გარკვევას. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ამა თუ იმ კუთხის შესასწავლ-დასახასიათებლათ გაცილებით უკეთესია აღწერის საგნათ მხოლოდ მკვიდრნი მცხოვრებნი გახადონ. მიწერილ ელემენტებს თვალსაჩინო გავლენა არა აქვთ ადგილობრივ ცხოვრებაზე და მაშასადამე, მათი მდგომარეობის შესწავლას არ შეუძლია რაიმე ცვლილება შეიტანოს საერთო მდგომარეობაში.

თუ ჩვენ გვექნებოდა საშუალება და ამასთან ერთად შევსძლებდით შესაფერისი შტატი სტატისტიკურ ცნობების დამგროვებელ პირთა შეგვედგინა, მაშინ რასაკვირველია, უარს არ ვიტყოდით აღწერაში შეგვეყვანა ეს ელემენტებიც, მაგრამ ამ ჟამად მდგომარეობა არ გვიწყობს ხელს და მაშასადამე იძულებული ვართ მკვიდრთა აღწერით დავკმაყოფილდეთ.

რაც შეეხება მეორე კითხვას—აღწერისთვის ყველგან ერთი დღის დანიშვნას, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ კითხვას თუ ერთის მხრით აქვს დადებითი მხარე, რაც იმაში გამოიხატება, რომ ერთი და იგივე პირი რამოდენიმეჯერ არ მოხვდება აღწერაში, მეორე მხრით მას აქვს უარყოფითი მხარეებიც. საქმე იმაშია, რომ როდესაც ახდენენ ერთდღიურ აღწერას, ერთი რომ საჭირო არის შეადგინოთ რეგისტრატორთა მთელი არმია, რაც ტეხნიკურათ მუდამ შეუძლებელი ხდება და რეგისტრატორების დიდი ნაწილი სრულებით უვიცი და ამ საქმისთვის გამოუსადეგარი ჰყავებიან ხსენებულ არმიაში და მეორეც ის პირები, რომლებიც აღწერის დროს ადგილობრივათ არ იმყოფებიან და ან გზაში არიან და ან იქ, სადაც აღწერა არ ხდება, სრულებით აღწერის გარეშეთ რჩებიან. ამიტომ ჩვენ იძულებული გავხდებით აღწერის ეს საშუალება უარვყოთ და მივმართოთ მეორე მეტოდიურ საშუალებას. მით უმეტეს გაგვიადვილდება მუშაობა, თუ თავიდანვე ჩვენ მიერ მიღებულ იქნება აღწერა მხოლოდ მკვიდრ მცხოვრებლების, რადგან იმის შიში, რომ ერთი და იგივე პირი რამოდენიმე ადგილას არ მოჰყვეს აღწერაში თავისთავად იხსნება და ეს იმიტომ რომ ესა თუ ის პირი რომ კიდეც მოხვდეს სხვა საზოგადოებაში, სიაში მაინც არ იქნება შეტანილი, რადგან ის იქ გარეშე პირათ ჩაითვლება. გარდა ამისა ჩვენ,არცა გვაქვს საშუალება რეგისტრატორთა ისეთი ძლიერი და მრავალრიცხოვანი შტატი შევადგინოთ, რომ შესაძლებელი გახდეს ერთდღიური აღწერა მივიღოთ. სტატისტიკური ცნობების მთელი ღირსება სრულებით დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენათ მომზადებულია მისი შემკრები, რამდენათ ესმის მას თავისი დანიშნულება და რამდენათ დახელოვნებულია ამა თუ იმ კითხვის დასმაში. ასეთი გამოცდილი პირები ჩვენ ძალზე ცოტანი გვყავნან და ბევრ მათგანს ერთი მაზრიდან მეორე მაზრაში [illegible] ბათ მგზავრობა.

ჩვენ მხედველობაში [illegible] იხაც, თუ რომელი თვე [illegible] მცხოვრებთა აღსაწერათ. უნდა ვერიდოთ ისეთ თვეებს, როდესაც ხალხი სოფლებიდან გარეთ არის გასული. მაგალითად ერთად-ერთ შესაფერის დროთ კახეთში უნდა ჩაითვალოს დეკემბერი. ამიტომ ნოემბრის შუა რიცხვებამდე აუცილებლათ უნდა მოწვეულ იქნეს სრულიად საქართველოს ერობათა ყრილობა და ზემოთ დასმული კითხვები გარკვეული.

ბ. ქუმბურიძე.

# რაჭა-ლეჩხუმის შესახებ

რაჭა-ლეჩხუმში, რომ ნაკლები მომუშავე ძალებია, ეს ყველასათვის აშკარაა, მოწინავე მომუშავეთა დიდი უმრავლესობა ქალაქებში იმყოფებიან; ამიტომ იყო, რომ ყოველ რევოლიუციონურ აღფრთოვანების დროს, ქალაქებში უმთავრესათ თფილისში, რაჭველ და ლეჩხუმელ მოწინავე ელემენტებისაგან სდგებოდა ჯგუფები, დამხმარე კომიტეტები, რომელნიც უწევდენ ხელმძღვანელობას და დახმარებას რაჭა-ლეჩხუმში არსებულ სუსტ რევოლიუციონურ ორგანიზაციებს. ეს იყო 1905—6 წლებში და ასეთივე დამხმარე კომიტეტი მოქმედებდა დიდ რევოლიუციის პირველ წელშიაც, რომელმაც დროს შესაფერათ შეასრულა დაკისრებული მოვალეობა.

ამ უკანასკნელ ხანებში საჭირო გახდა კომიტეტის დროის შესაფერათ გარდაქმნა. ამ მხრივ გადადგმულ იქმნა ნაბიჯები და რაჭველ-ლეჩხუმელ აქმცხოვრებთა მოწვეულ კრებებზე იქმნა არჩეული დროს შესაფერი „ინტერპარტიული" რაჭა-ლეჩხუმის დამხმარე საზოგადოების გამგეობა. ამ ახალ ორგანოსაგან რაჭა-ლეჩხუმის დემოკრატია ბევრ რამეს მოელოდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით იმედი არ უმართლდებათ.

აგერ სამი თვეა თითქმის, რაც შესდგა რაჭა-ლეჩხუმის საზოგადოება და ამ ხნის განმავლობაში, არსებულ მდგომარეობის მიხედვით, ბევრი რამის გაკეთება შეეძლო ამ საზოგადოებას, მაგრამ სამწუხაროთ არც ერთი მისი გაკეთებული საქმე არ სჩანს.

არც ერთი კუთხე საქართველოს რესპუბლიკისა ისე მიტოვებული უპატრონოთ არ არის, როგორც რაჭა-ლეჩხუმი. ეცის თუ არა რაჭა-ლეჩხუმის დამხმარე საზოგადოებამ, რომ რაჭა ლეჩხუმი აგერ ნახევარი წელიწადია მოწყვეტილია მთელ რესპუბლიკას—ფოსტა ტელეგრაფის შეწყვეტის გამო. თუ ამ რამოდენიმე თვის წინათ, ლეჩხუმის ამბოხება, ხელს უშლიდა ფოსტა-ტელეგრაფის ამოძრავებას, ამ უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში ხომ მაინც შეიძლებოდა ეს მოწყობილიყო. თფილისში და სხვა ქალაქებში მყოფი რაჭველები და ლეჩხუმლები, იძულებულ არიან წერილები ფოსტის საშუალებით კი არ გზავნონ, არამედ ნაცნობ მგზავრებს ატანონ. რაჭა-ლეჩხუმში მყოფი ამხანაგები საშინელ მდგომარეობაში იმყოფებიან; უცდიან ცის მანანასავით ქალაქიდან მოსულთ, რომელიც მიაწვდის გაზეთს ან რამეს გადასცემს.

ყოველივე ამაში დამნაშავეა ადგილობრივი ადმინისტრაცია და უმთავრესათ კი რაჭა ლეჩხუმის დამხმარე საზოგადოება.

მართალაც, ჩვენი რესპუბლიკა ორი გუბერნიისაგან შესდგება და თუ ორი მაზრა მას მოსწყდა თავის სიცოცხლით, რას დაემგზავსება ეს? ეხლა, როდესაც ზამთარი მოახლოვებულია, უგზოობის გამო ამ მაზრებთან მიმოსვლა მთლად შესწყდება. საჭიროა დაუყოვნებლივ მოეწყოს ფოსტის მიმოსვლა კვირაში ერთხელ მაინც.

უნდა აღინიშნოს შემდეგი: როცა თფილისში შესდგა რაჭა ლეჩხუმის საზოგადოება, ამ კუთხის დემოკრატიას იმედი ჰქონდა, რომ რაჭა-ლეჩხუმში ერობების დაარსებამდე და მის მოწყობამდე ეს საზოგადოება დაიჭერდა მის ალაგს; თითქმის ყველგან მოხდა ერობების არჩევნები და რაჭა-ლეჩხუმში არაფერი არი. ამ ჟამათ ყველა ერობები იღებენ მთავრობისგან მილიონ ქონებას და ეხლა არ არის რაჭა ლეჩხუმი ამ მხრივ დარჩება უპატრონოთ და ისედაც ღარიბი კუთხეები, ღარიბ ერობებით მოეწყობა. საზოგადოებამ ამას უნდა მიაქციოს ყურადღება; ერთი მხრივ დააჩქაროს ერობების მოწყობა და მეორეს მხრივ მისი კუთვნილი ქონება შეუნარჩუნოს.

ამ რამდენიმე თვის წინათ, როცა რაჭა-ლეჩხუმში მოცული იყო ანარქიით, ზოგიერთ ამხანაგების მეცადინეობით თფილისში შესდგა რაჭველ-ლეჩხუმელთა გვარდია. ამ გვარდიამ ჩინებულათ შეასრულა თავისი მოვალეობა: ყუსასხლოთ, ტყვილათ აჰკარეს იარაღი მთელ რაჭას, აღადგინეს ადმინისტრაცია და გამოიყვანეს ჯარისკაცები. დღეს ეს გვარდია უკან ჩამოვიდა და დაიშალა. ამ გაკეთებულ საქმეში რაჭა-ლეჩხუმის საზო-

გადოების არავითარი ღვაწლი არ მიუძღვის. ეხლა მოშენტი თხოულობს, რომ ასეთი გვარდია შეიქმნეს თვით ადგილობრივ მაზრებში, ეს შესაძლოა მით უმეტეს, რომ ნაწილი გამოცდილი ჩამოსულ გვარდიელებისა, როგორც იქაურები დასთანხმდებიან იქ დარჩენაზე, მათ მიემატებათ ადგილობრივი ამხანაგები და მაზრებში შეიქმნება რეალური ძალა, რომელსაც დაეყრდნობა ადგილობრივი თვითმართველობა და ადმინისტრაცია.

დასასრულ არ შეიძლება არ აღინიშნოს შემდეგი: ჩვენ ვიცნობთ ოფიციალურათ არჩეულ რაჭა ლეჩხუმის დამხმარე საზოგადოების გამგეობას, რომელიც უნდა მოქმედებდეს ამ საზოგადოების სახელით.

ამ მოკლე ხანში თფილისში გამართულ იქნა ორი რაჭა-ლეჩხუმის საღამო, რომელზედაც ბლომათ დაესწრო ხალხი. მე არ ვიტყვი ამ საღამოების შინაარსზე არაფერს და არც მის შემოსავალზე თუ სად მიდის, მხოლოდ ვიტყვი შემდეგს, რომ, თუ ამას აწყობს არა ოფიციალური ჯგუფი, რატომ არ შეეძლო ამ ხნის განმავლობაში მოეწყოს ასეთი საღამო უფრო შინაარსიანი რაჭა-ლეჩხუმის (ოფიციალურ) დამხმარე საზოგადოების გამგეობას და მის შემოსავლით ცოტა რამ მაინც გაეკეთებინა.

აგრეთვე უნდა მივუთითო ამ საზოგადოების გამგეობას, რომ რადგან მას ძალა არა აქვს გაგზავნოს რაჭაში და ლეჩხუმში კაცები იქაურ მდგომარეობის შესასწავლათ, ამ ჟამათ თფილისში იმყოფებიან რაჭა ლეჩხუმიდან ჩამოსული ამხანაგები ს. დ. ყრილობის მონაწილეობის მისაღებათ, რომელთაც იციან რაჭა-ლეჩხუმის მდგომარეობა; საჭიროა საზოგადოების წევრთა და ჩამოსულ ამხანაგების შეერთებული კრება მოხდეს. ბევრი საჭირბოროტო კითხვების გასაშუქებლათ.

შაქრო ხიდიხარელი.

## ს.-დემ. პარტიაში

რკინის გზის სამმართველო. სამმართველოს ს.-დ. პარტიის კოლექტივის 29 ოქტომბრის სხდომაზე, რომელიც შესდგა ამხ. ლ. ასათიანის თავმჯდომარეობით, პირველ საკითხათ გარჩეულ იქნა სომეხ-ქართველთა შორის ჩამოვარდნილი კონფლიქტი. სხდომამ დაადგინა: სრულიად მიზან-შეწონილად ვსცნობთ და ვიწონებთ საქართველოს მთავრობის ნაბიჯებს და იმედს გამოვსთქვამთ—შემდეგა მათი წინდახედული მოქმედება სისხლის ღვრისგან იხსნის ჩვენს და მეზობელ ერის დემოკრატიას. მეორე საკითხათ მოსმენილ იქნა მოხსენება რკინის გზის სავალდებულოს მუშამოსამსახურეთა შორის ს.-დ. „იაჩეიკის" დაარსების შესახებ. ამ დაწესებულებაში უკვე შემდგარა „იაჩეიკა" ოცდა ორი კაცისაგან, რომლის ხელმძღვანელებათაც აურჩევიათ ამხ. გ. წილოსანი, ფრანგიშვილი და კალანდაძე და მათ კანდიდატათ მ. წიქვწივაძე.

სხდომამ ადასტურებს, რომ მთავარი კომიტეტი ხშირად უყურადღებოდ სტოვებს ხოლმე კოლექტივის დადგენილებებს. რომ ასეთ უყურადღებობას ბოლო მოეღოს, კოლექტივმა გადასწყვიტა, უახლოეს სხდომაზე მოიწვიოს მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე.

სხდომამ მოისმინა ამხ. ა. გოგუაძის მოხსენება, რომელიც სცნობს აუცილებლად საჩქაროდ გახსნილ იქნას ტელეგრაფის მოხელეთა, მეტადრე ზედამხედველ და უფროს ტელეგრაფისტთა, ქართული ენის შესასწავლელი კურსები, რადგანაც შესაძლებელია მალე ნაციონალიზაცია შემოვიღოთ და ქართულ ენაზე მომზადებული აგენტები ცოტანი გვეყოლებაო. კოლექტივმა დაადგინა ამის შესახებ მოეხსენოს ვისაც ჯერ არს.

ხაქარელი მ.

## მუშათა შორის

პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს არაჩვეულებრივი კრება. მუშათა კლუბის საზამთრო შენობის დარბაზი ერთიანად გაჭედილია ხალხით. ყველას თვალში რაღაცა არა ჩვეულებრივს ამოიკითხავ. ყველანი გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს ერთი მეორის გვერდს—ჯგუფია შორის ატეხილს კამათს. ყველანი ღრმათ არიან დარწმუნებულნი, რომ რაღაც არაჩვეულებრივი მოხდა. ვიღაცის შავმა ხელმა და შავმა მოქმედებამ გაილაშქრა ორ მოძმე ერთა შორის განხეთქილების—ძმათა შორის სისხლის ღვრის ასპარეზის გასაფართოვებლათ გამოიყენებიათ ლტოლვილთა უმწეო მდგომარეობა და ამით შექმნათ და გაებათ ჩვენი დემოკრატიული მთავრობის საწინააღმდეგოთ პროვოკაციის ქსელი. ყველა გრძნობს და ღრმათ არის დარწმუნებული იმაში, რომ სწორედ ეს საბჭო არის ის ბაქანი, რომელშიც უნდა აღიზარდოს, გაღრმავდეს და მძლავრათ ფეხი მოიდგას მთელ დედამიწის ზურგზე იმ მიმართულებამ, რომელსაც ეწოდება ერთა შორის სოლიდარობა—ინტერნაციონალი. ყველა გრძნობს, რომ დღეს, სწორედ ამ კრებაზე უნდა ითქვას, ნათლათ, გარკვევით, თუ ვის წარმოვადგენთ ჩვენ, მუშათა წარმომადგენლები, და თუ როგორი თვალთახედვის ისრით უნდა ვხელმძღვანელობდეთ ამა თუ იმ შოვინისტური გამოსვლების საწინააღმდეგოთ.

ამხანაგ ჟვანიას (პრეზიდიუმის თავმჯდომარე) ზარის წკრიალი აჩერებს დარბაზში ატეხილ ხმაურობას და ყველანი გაფაციცებით მიჩერებიან პრეზიდიუმის მაგიდას.

ამხ. სლუცკი (მდივანი) აცნობს დღიურ წესრიგს და ამბობს, რომ დღიურ წესრიგში მხოლოდ ერთი კითხვა არის დასმული: „სომეხ ქართველთა განხეთქილება", მაგრამ, სანამ ამ საკითხზე გავხსნიდეთ კამათს, პრეზიდიუმს გამომუშავებული აქვს ერთგვარი რეზოლიუცია, რომელიც მიმართულია გერმანიის მუშებისადმი და საჭიროა თქვენ მიერ დადასტურება. კითხულობს რეზოლიუციას: „შეკავშირებული პროლეტარიატი მთელი ამიერ-კავკასიის, თავმოყრილი თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს გარშემო, უგზავნის ძმურ სალამს გერმანიის რევოლიუციონურ პროლეტარიატს, რომელმაც შესძლო გაეწყვიტა თვითმპყრობელობისა და ფეოდალური წყობილების ჯაჭვი. გამოსთქვამს თავის აღტაცებას გერმანიის მუშების და სალდათების თავგანწირული ბრძოლის წინაშე თავისუფლების მოსაპოებლად. ვგრძნობთ რა, რომ მოახლოვებულია ის დრო, როდესაც გერმანიაში გაღვივებული ბრძოლის ქარცეცხლი ერთა შორის სოლიდარული კავშირის განსამტკიცებლად მოედება მთელს ევროპას—სიხარულით ვეგებებით იმ ფაქტს, რომ დიდი რუსეთის რევოლიუციას შეუერთდა კიდევ ერთი შეკავშირებული და ძლიერი გერმანიის პროლეტარიატი. ჩვენ, თფილისის მუშები, საჯაროთ ვაცხადებთ, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ სოციალური იდეების და სამყარებლად. გაუმარჯოს საერთაშორისო მუშათა სოლიდარობას! გაუმარჯოს სოციალიზმს! გაუმარჯოს ინტერნაციონალს! ამხ. საფაროვი მოითხოვს, რომ დეპეშა იქნას გაგზავნილი არა მარტო გერმანიის მუშების მიმართ, არამედ—ავსტრო უნგრეთის მუშების მიმართაც. საფაროვის წინადადება ერთხმად იქნა მიღებული. კრება გადადის დღიურ წესრიგის განხილვაზე.

მდივანი აცნობს მეორე რეზოლიუციას, შემუშავებულს პრეზიდიუმის მიერ და რომელიც გამოქვეყნებული იყო 12 ნოემბერს გაზეთებში და დასძენს, რომ ამხ. აბაზიანს ჰქონდა მინდობილი გაეკეთებინა მოხსენება, მაგრამ მას საჭიროდ აღარ მიაჩნია გააკეთოს მოხსენება, ვინაიდან ისედაც ყველამ კარგათ იცის, თუ რის გარშემო ასტყდა ვნებაში შოვინისტურ ორგანიზაციებში და ჩვენი ვალია ეს რეზოლიუცია იქნას ჩვენგან დადასტურებულიო.

ამხ. ხელაძე. იმ რეზოლიუციის საწინააღმდეგო, რომელიც გამოქვეყნებულია სხვადასხვა გაზეთებში, მე არსებითად არაფერი მაქვს. მე მინდა განსაკუთრებით ამ რეზოლიუციაზე ვილაპარაკო არა იმიტომ, რომ მე წინააღმდეგი ვიყო მისი, არამედ—როდესაც რეზოლიუცია იწერება, ის უნდა გამოხატავდეს მასის გულის ნადებს. ჩვენ ყოველთვის ვიბრძოდით შოვინიზმის წინააღმდეგ, მუდამ კრიტიკის ქარცეცხლში ვატარებდით მას ამა თუ იმ გამოსვლებს, მაგრამ ბუნდოვანათ, გაუბედავათ კი არა—გაბედულათ. სწორეთ ეს გაბედულება აკლია რეზოლიუციას. აქ ამბობენ, სომეხქართველთა შორის ჩამოვარდნილ კონფლიქტზე. კითხვაა, ვისი მეოხებით? აი ამის გამოსარკვევად საჭიროდ მიმაჩნია მომხსენებელმა გააკეთოს მოხსენება და გაიხსნას კამათი.

ამხ. ივანოვი. მე ვიზიარებ, რომ ჩვენ მარტო იმისთვის არ შევკრებილვართ, რომ რეზოლიუცია მივიღოთ. ჩვენთვის საჭიროა ვიცოდეთ, თუ ვის უნდა ჩასტეხოს ის ხიდი, რომელზედაც ჩვენ, განურჩევლად ეროვნებისა, დღემდე დავდიოდით. ორატორი მოითხოვს გაკეთებულ იქნას მოხსენება.

მოხსენებას აკეთებს ამხანაგი აბაზიანი.

რა საფუძველზე აღმოცენდა ეს კონფლიქტი, მე არ ვიცი. თუ ჩვენ ღრმათ ჩავუკვირდებით ამ კონფლიქტს,—ის აღმოცენდა რამოდენიმე თვის წინეთ. ჩვენ არ შევუდგებით ძველი ჭრილობების ძებნას იმიტომ, რომ ასეთი ჭრილობები ახალიც ბევრია. ეს საკითხი პირველად დაისვა პრეზიდიუმში იმის შემდეგ, როდესაც გაზეთ „ჰორიზონ"-ში მე ჩემის თვალით ვნახე მსხვილი ასოებით დაბეჭდილი: „საქართველოს მთავრობის პოლიტიკის წყალობით სომეხთა ლტოლვილთათვის შეიქნა ახალი „დემოკრატიული" შესაპოტამია—წალკა-ბაკურიანი, მესამავე ვერსია" და სხვა, სადაც გაზეთი მოუწოდებდა სომხურ დემოკრატიულ ორგანიზაციებს აელაგმა მთავრობის ასეთი პოლიტიკა და სხვა. საჭირო იყო ყველა ამაზე ჩვენ პრეზიდიუმის წევრებს, როგორც თქვენი ინტერესების გამომხატველს, ხმა ამოგვეღო, და ეს ხმა რაც ადრე გაისმებოდა, მით უფრო საჭირო იყო: როგორ უნდა ვეყურებდეთ ჩვენ ამ საკითხს? იმ დროს, როდესაც მთელი დედამიწის ზურგზე გაისმის თოფ-ზარბაზანთა ჭექა-გრიალი, იმ დროს, როდესაც ყოველ კუთხეში იღვრება დემოკრატიის სისხლი—რა გასაკვირია, თუ ყველა ჯურის ნაციონალ-შოვინისტები ეცდებიან ერთა შორის შუღლის ჩამოგდებას. ჩვენი მოვალეობაა ეს გაკვეთილი კარგათ დავიხსომოთ და შესაფერისი პასუხი გავსცეთ მათ ბნელ მოქმედებას. საერთოდ, მომხსენებელი ძალიან თავდაჭერილათ იყო, რამაც საკითხის მრავალ-მხრივ გაშუქებას ხელი შეუშალა.

ლაპარაკობენ, მჟავანაძე და ზალაიანი, რომლებიც საერთოთ გმობენ რა შოვინისტურ ორგანოების მიერ დაწყებულ ავანტიურას, ამასთანავე ცდილობენ გააკრიტიკონ მთავრობის პოლიტიკა არა ამ კონფლიქტის მიხედვით, არამედ—სულ სხვა მხრივ, რაიც იწვევს მსმენელთაგან მრავალ რეპლიკებს.

მჟავანაძეს და ზალაიანის შემდეგ ლაპარაკობს რეზროვი.

მე არ ვიზიარებ იმ აზრს და იმ პოლიტიკას, რომელსაც იზიარებს ჩვენი მთავრობა, მაგრამ მე არ შემიძლია პასუხი არ გავსცე იმ მიმდინარეობას, რომელსაცეკუთვნის ამხ. მჟავანაძე. მით უმეტეს პასუხ გასაცემია მისი უკანასკნელი სიტყვები, სადაც ის აკრიტიკებს მთავრობის სათავეში მდგომ ჩვენს ამხანაგებს და არავითარი საბუთი არ მოყავს იმის შესახებ, თუ რაში არიან ისინი შემცდარნი. გარედან კრიტიკის გაკეთება ადვილია, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ თვით საქმის კეთებაა ძნელი. მომხდარ ფაქტში ის თუ ხედავს, რომ მუშა მუშის წინააღმდეგ მიდის, მას ცუდათ ესმის თუ დემოკრატიულ საქართველოში როგორ კარგათ არის შენარჩუნებული რევოლიუციის მონაპოვარი. ლაპარაკობენ პაიჭაძე, თოფაძე, იობაშვილი და სხვები, რომლებიც აღშფოთებას გამოსთქვამენ დაშნაკელთა წინააღმდეგ, რომლებსაც სურთ გამოიყენონ ლტოლვილთა უმწეო მდგომარეობა და ხელოვნურათ ჩამოაგდონ ორ მოძმე ერთა დემოკრატიას შორის შუღლი და მტრობა. კამათი სწყდება. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია; „პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ განიხილა რა სომეხ-ქართველთა დამოკიდებულება, გულისწყრომას გამოსთქვამს ეროვნებათა შორის ასეთ ხელოვნურათ შექმნილ განხეთქილების გამო. როცა მოახლოვებულია საერთაშორისო ზავი და დემოკრატიის ზეიმი, სომეხსა და ქართველ შოვინისტებს სურთ სისხლში ჩაახრჩონ რევოლიუციის მონაპოვარნი და აგონ თავისი საკუთრება. გამოსთქვამს რა პროტესტს პროფესიონალურ კავშირთა საბჭო, მიმართავს ყველა ერის მუშათა კლასს და დემოკრატიას და მოუწოდებს საერთო რევოლიუციის ინტერესებისათვის ჩააქრონ თავიანთ ერის შოვინისტთა პროვოკაციული გამოსვლები. ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ დაშნაკელთა და მათ ორგანოს „ორიზონი"-ს გამოხატვას და საქართველოსა და სომხის დემოკრატიისა და მუშათა ინტერესებისათვის მოგიწოდებთ ასეთ შოვინისტურ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც სჩვევია ბურჟუაზიულ პარტიას".

გერ. პაიჭაძე.

## პროვინცია

ფოთი. ფოთის ქალაქის თვითმართველობა გადავიდა ახალ ბინაზე. მისი ძველი სადგომი დაიკავა სამხედრო-საველე ლაზარეთმა, მისი ცოტაოდენ შეკეთების შემდეგ, რომელიც ქალაქს დაუჯდა 8,000 მან.

ქალაქის ხიდის ბაგება, რომელმაც უნდა გააერთიანოს ნავთსადგურის ტერიტორია და დიდი კუნძული, სხვადასხვა მიზეზებისა გამო გვიანდება, ამიტომ ქალ. თვითმართველობა შეუდგა დროებითი ხიდის გაკეთებას, რომელიც ქალაქს უჯდება 33000 მან.

ქუჩების განათება ნორმალურ კალაპოტში დგება. ელექტრონის ენერგიას იძლევა ელევატორის სადგური, რომელიც აწვდის ენერგიას აგრეთვე ფოთის რადიოსადგურს. ძველი ელექტრონის სადგურის შეკეთებას უკვე შეუდგნენ და ამ მოკლე ხანში ისიც მზათ იქნება. თვითმართველობას აზრათ აქვს მოაწყოს ყველა მთავარ ქუჩების ელექტრონით განათება, თუ კი სამისო მასალები ვიშოვეთ.

ახალი ქალაქის ინჟინერი, ბ-ნი მეგლაძე დიდს საქმიანობას იჩენს, რაც უკვე შესამჩნევათ დაეტყო ქალაქს.

ნავთსადგურის ძველი უფროსის, ინჟ. ჯავახიშვილის მაგიერ დაინიშნა ინჟ. ღვალიშვილი. უკანასკნელის მუშაობა ჯერ-ჯერობით კარგს შთაბეჭდილებას სტოვებს.

ნავთსადგურის ტერიტორიაზე და რკინის გზის ლიანდაგზე სახლეო წესრიგი გამოცხადებული. კომენდანტის მოვალეობას გარნიზონის უფროსი, ბ-ნი ჩხეიძე ასრულებს.

ლოთობა ადგილობრივ გარნიზონის აფიცრების ერთ ნაწილში ღებულობს მუდმივ ხასიათს და ამით ეს ნაწილი, სამწუხაროთ, ჩირქს სცხებს დანარჩენ აფიცრებს, რომელნიც არავითარ ზომებს არ იღებენ მათ წინააღმდეგ. გარნიზონის უფროსი თითქოს ღებულობს ზომებს მათ წინააღმდეგ, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ლოთობა მაინც გრძელდება და მას უწესოება მოსდევს ქალაქის ქუჩებში.

ფოსტას, ხაზინას და სატუსაღოს დარაჯობენ ქალაქის მილიციონერები, ამ დაწესებულებათა დარაჯობა ერთს დროს დავალებული ჰქონდა ჯარისკაცებს. სასურველი იქნებოდა, რომ გარნიზონის უფროსმა იკისროს ამ დაწესებულებებში სადარაჯოების მოწყობა.

მდ. რიონთან, „მწვანე ბაზრის" ახლოს ქალაქი აშენებს ორთქლის წისქვილსა და ყინვის გასაკეთებელ ქარხანას. ორივე ფრიად დიდ საჭიროებას წარმოადგენს ქალაქისთვის, განსაკუთრებით, უკანასკნელი.

წინეთ არსებობდა ცეცხლის-მქრობელი რაზმის საზოგადოება, რომელმაც, სამწუხაროთ, ამ უკანასკნელ წელს შესწყვიტა თავისი მოქმედება. ქალაქს აზრადა აქვს ხელ-ახლა მოაწყოს ეს რაზმი და გაანახლოს ზემოხსენებული საზოგადოება.

ქალ. თვითმართველობა შეუდგა „ტროტუარების" შეკეთებას უმთავრეს ქუჩებში. მუშაობა უკვე დაიწყო მიხეილის ქუჩიდან.

ქართული თეატრის და უნივერსიტეტის სასარგებლოთ ლატარიის ბილეთების გაყიდვამ ფოთში ერთი დღის განმავლობაში შემოიტანა 30,000 მან.

№.

## წერილი რედ. მიმართ

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ჩემს პასუხს დამქირავებელ მეზალე-მოიჯარადრეებისადმი, რომელნიც, თავიანთ ბიუროს სახით მიწვევენ სამედიატორო სასამართლოში. „ერთობა"-ს 236 ნომერში ჩემი კორესპონდენცია არის მოთავსებული დამქირავებელ—მეზალე-მოიჯარადრეების და ამათ ბიუროს შესახებ, (და არა მუშა მეზალეების და მათი პროფ. კავშირის შესახებ) რომლის გამო სამედიატორო სასამართლოში მიწვევენ და სწერენ „ერთობა"-ს 245 ნომერში: „იმედი გვაქვს ხსენებული წერილის ავტორი აღიარებს, რომ იგი სხვებმა შეცდომაში შეიყვანეს და გაზეთის საშუალებით აღიარებს თავის უნებლიეთ შეცდომასო. წინიცობაა ისევ თავის აზრს ადგია, მაშინ ვიწვევთ მას სამედიატორო სასამართლოში და ვსთხოვთ 7 დღის განმავლობაში, დღიდან ამ წერილის დაბეჭდვისა, დაგვისახელოს მედიატორებიო".

მე ვაცხადებ: შეცდომაში არავის არ შევუყვანივარ, ხსენებულ ჩემს კორესპონდენციაში გამოთქმულ აზრს ვადასტურებ, სამედიატორო სასამართლოში გამოვცხადდები და ვასახელებ ჩემი მხრით სამედიატორო სასამართლოს წევრებად: ალფეზ ხელაძეს, კოსტა ტოფაძეს და ო. კანდარელს. თქვენც დაასახელეთ თქვენი მხრით მედიატორები და ერთათ აარჩიონ თავმჯდომარე. მასთან დანიშნონ დრო და ადგილი საქმის გარჩევის და მაცნობონ მე.

საქმე გაირჩეს ღია კარებში და გადაწყვეტილება დაიბეჭდოს ჩვენს გაზეთ „ერთობა"-ში.

lotos.


## განცხადებანი

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მებრაზიანცი
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსენვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე
მახვილაძე
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

კბილის საექიმო კაბინეტები
თედორა ხაჟუარელის ძე ცხოველიძისა
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

ექიმი
ა. ნ. შატილოვი
იღებს თვალის სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

ექიმი
დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგანი, ქრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ქრონიკული ტრიპერი, საშარდე მილის სივიწროვე, სიფილისი და მის შედეგები, 606—914 შეშხაპუნება. მიღება საღ. 5—7 ს. მისამართი: გორის ქ. (დიდუბე) № 6. ტელეფ. 1—04.

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი
(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან სნეულებათ, ბავშვთა, საბებიო და საშვილოსნოს ანთებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

ექიმი
იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე
ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

ექიმი ა. ბ. მუხაძე
იღებს სილამაზის ავადმყოფთ ყოველ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; აფთიაქის ეკონომიური სახ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—77.

ექიმი მ. ა. შაურანი.
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

სამკურნალო კაბინეტი
ექიმ ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიძე
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914—606 შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—23.

მიხეილის კერძო სამკურნალო
მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.

ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და საბებიო 10—11 ს., მ. ფ. მგალობლიშვილი ქირ. და ქალ. 11—12 ს., მ. ი. გაჩნაძე შინაგ. და საბავშვო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვ. დილის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., ქ. გ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.

მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავადმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ-აკოფოვის ხელმძღვანელობით.

მედ. დოქტ. რ. ბ. შიუკო-ხახანაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედი ი-რ-ი. მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხეილის პრ., № 119, სახლი ფურერის. ტელ. 9—26.

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65

შემთხვევით იყიდება
ორი მაკე ძროხა, ერთი მალე მოიგებს, ხბოს მეორე ჯერ კიდევ იწველის.
მისამართი: გოგოლის ქუჩა № 47.

სახელმწიფო თეატრი
ხუთშაბათს, 21 ნოემბერს, ხაზანაევას, ალეშკას, კანშინისა, ვრონსკის, ნიკულსკის, ისეცკის და მოროზოვას მონაწილეობით
„გუგენოტი"
ოპერა 4 მოქმ. მეიერბერისა.
ფასები დაკლებულია დასაწყისი საღ. 7 ნახ. საათ.
ა ნ ო ნ ს ი: შაბათს, 23 ნოემბერს „ტრავიატა". კვირას, 24 ნოემბერს „ტოსკა" და ბალეტი.

ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირის საბჭო
ამით აცხადებს, რომ კვირას, 24 ნოემბერს, დილის 11 საათზე
ქართულ კლუბის შენობაში
დანიშნულია კავშირის
წევრთა საგანგებო კრება.
საგანი კრებისა: წლევანდელი სეზონის ვითარება და კავშირის დამოკიდებულება მასთან. 4—2

დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი".
ხუთშაბათს, 21 ნოემბერს, 1918 წელს,
დემოკ. კლ. არსებულ ქარ. სახ. წარ. მმართვ. წრის მიერ წარმოდგენილი იქნება
გაწყვეტილი სიმი
დრამა 4 მოქ. გარდელისა.
ბილეთები იყიდება ყოველ დღე თეატრის კასაში, საღამოს 5—8 საათამდე.
ბილეთების ფასი სახალხოა. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

პარასკევს, 22 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე,
ავლაბარ პალას-თეატრში შესდგება, ავლაბრის მუშათა კლუბის წევრების
დამფუძნებელი კრება.
დღის წესრიგი: 1) განხილვა და დამტკიცება წესდებისა, 2) არჩევნები საბჭოსი და გამგეობის, 3) მოხსენება მუშათა კლუბის მნიშვნელობის შესახებ.
განსაკუთრებული მოწვევის ბარათები არ იქნება დაგზავნილი მგზავს დაწესებულებებში.
აქვე შეიძლება წევრებათ ჩაწერა.

ცენტრალური ბიურო რემინგტონზე მბეჭდავთა
(ელისაბედის ქუჩა № 39)
ღებულობს ყოველ გვარ საქმის ქაღალდებს, საბეჭდავ მანქანებზე. ქართულ, რუსულ და ლათინურ ენებზე. აქვე მიიღება მოწაფეები ორივე სქესისა. ფასები ყველასთვის ხელმისაწვდომია.
ბიუროს ხელმძღვანელობს ნადია ჭანკვატაძე.

საჯარო ვაჭრობა.
თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ სამშაბათს, 26 ნოემბერს, გამგეობის თანდასწრებით მოხდება
საჯარო ვაჭრობა.
იჯარით გაიცემა ავლაბრის აგარაკზე მდებარე ქალაქის საბალახო ადგილები.
კონდიციებისა და ყოველივე ცნობის მიღება შეიძლება საშეცადინო საათების დროს თვითმართველობის საიჯარო-სადგილ-მამულო განყოფილების კანცელარიაში.

ცენტრალური სასურსათო საბჭო
(მადათოვის ქ. № 3 ყოფილი სასურსათო სამინისტრო) ამით აცხადებს საზოგადო დაწესებულებათა და კერძო პირთა საყურადღებოდ, რომ მსურველთ შეუძლიათ შეიძინონ ხსენებულ საბჭოში
მარცვლოვანი მარილი დაწესებულ ფასებში
მარილის მიღება შეიძლება ქ. თფილისში და ქ. ფოთში. (10—7)